1919
F 262 №13029
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეხუთე
სამშაბათი, 24 თიბათვე 1919 წ. № 129
ფასი 2 მან.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციო განყოფილების ნივთ საწყობის უფროსი ოფიცრობა და მოხელეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობს, მეგობრებს დაუვიწყარი ამხანაგის და თანამშრომლის

დიმიტრი ლუკას ძის მესხის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ 24 ივნისს დილის 10 საათზე ნავთლუღში რეუტეროვის ქუჩა № 55 წმინდა ბარბარეს ეკლესიაში და დაკრძალვა მოხდება იქვე.
1—2770—1

ვ. იაშვილის სახელოსნოში

ოლღას ქუჩა № 18.

იყიდება ახალი, და ვღებულობთ შესაკეთებლად ვენახის სარწყავ მანქანებს სისტემა „ვერმორელი“-სა იქვე იყიდება სხვა და სხვანაირი გოგირდის საბერველები და ასანთები (ზაჟიგალკა). 3—2466—1

ქართული კლუბი

სამშაბათს, 24 თიბათვეს, ქართველ მსახიობთა მონაწილეობით დაიდგმება უფასო წარმოდგენა

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე

დასაწყისი სად. 8 ნახ. საათზე. 1—120—1

ქართული კლუბი

6 მკათათვე

დიდი სეირნობა-საღამო

გაზეთ „საქართველოს“ ფონდის გასაძლიერებლად.

1—1 საღამოს გამგე ნ. ე. წერავა.

ყველას საყურადღებოდ!

იყიდება ყოველ დღე ახალი ხორცი

ფასები: 1 ხარისხი—გირვ. 8 მან., 2 ხარისხი—გირვ. 7 მან. 50 კაპ. მიმართეთ ფეოდოსიევისა და ოლღას ქ. კუთხეში გოცირიძისა და მჟავანაძის ხორცის დუქანში. 2—2467—1

განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება აცხადებს, რომ ოთხს მკათათვეს, დღისით 12 საათზე, ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით დაბეჭდილ პაკეტებში

საჯარო ვაჭრობა 25.000 თუშურ ქუდზე

საქართველოს რესპუბლიკის ჯარისთვის. ვაჭრობა შეუძლიან იმათ ვისაც აქვთ სამისო კანონიერი უფლება. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 4-ს მკათათვეს, 12 საათამდე საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზე და ისიც რომ კისრულობენ თუშური ქუდების ჩაბარებას თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზე დაკრული უნდა იყვეს ორი თითო მანეთიანი ღერბის მარკა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასი თითო თუშურ ქუდზე და ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი ან დაბეჭდილი სიტყვებით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეებისა.

პირობებისა და თუშური ქუდის ნიმუშისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 10 საათიდან 2 საათამდე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში. ბარიატინსკის ქუჩა № 10.
(3—119—1)

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი ყოფილი გერმანულ-კავკასიური ბანკი

განაგრძობს თავის ოპერაციებს ძველ წესების მიხედვით

ნაღდ ფულზე

ყურადღება!

მოიკითხეთ
საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
ძმ. კაიშაურებისა

მისამართი: ელისაბედის ქ., 117, ტელ. 9—77.

ყურადღება!

12—244—5

გ. ლეონიძე

წიგნი I.

1. „კვირეები“. 2. „ცივი ნავრუზი“.
3. „ყაბახები“. 4. „საქართველო“.

წიგნი მკათათვის ნახევრებში გამოვა.

განცხადება

კახეთის რკინის გზის გურჯაანისა და მუკუზნის სადგურებზედ დაარსდა სატრანსპორტო საკომისიო კანტორები, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ საქონლის მიღება და გაგზავნა დაუყოვნებლივ დანიშნულებისამებრ. კანტორა მასთანავე კისრულობს მსურველთათვის სხვა და სხვა ნაწარმოების ყიდვას და გასაღებას. მისამართი: გურჯაანი—ციცალაშვილს, მუკუზანში—ჯანდიერიშვილს.

იბეჭდება:

თამუნა

წიგნი 1.

ამიერ-კავკასიის სოვდეპიები

დენიკინის მოახლოვებამ ამიერ კავკასიის სოვდეპიათა კონფერენციის საკითხი წამოაყენა. მეთაურობა, რა თქმა უნდა, ბაქოს ბოლშევიკებმა აიღეს. კონფერენცია თბილისში უნდა გამართულიყო. ამის თაობაზე რამდენიმე რეზოლუცია გასცვალ-გამოცვალეს თბილისმა და ბაქომ. უნდა სიმართლე ითქვას, რომ თბილისის სოვდეპიის მხრივ პირველ დროის სიჩქარეს მოჰყვა მეტი სიფრთხილე. თბილისის მუშათა საბჭოს ბიურომ თითონ ვერ იკისრა საბოლოოდ გადაეჭრა ამიერ-კავკასიის სოვდეპიათა კონფერენციის საკითხი და 20 ივნისის სხდომაზე დაადგინა ეს საკითხი საბჭოს პლენუმში გადაეტანა. მაგრამ ეს სიფრთხილე საიმედო არ არის, მას გამძლეობის ხასიათი არ უჩანს, ვინაიდან თბილისის სოვდეპიას ჯერ ძვალ-რბილში მტკიცედ არ აქვს გამჯდარი ის პრინციპი, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს არა მარტო სიფრთხილე სოვდეპიათა კონფერენციის მოწვევის საქმეში, არამედ თვით ამგვარი კონფერენციის სრული უარყოფისა და უსაფუძვლობის შეგნება. ამიტომ შესაძლებელია სიფრთხილეს კვლავ სიჩქარე მოჰყვეს. რევოლუციური ფუსფუსის ტემპერამენტმა გაიმარჯვოს, ჰპასთან ერთად მოდაც მოიგიდეს და ჰქეყანას ანარქია და ცეცხლის ალი მოედოს. ბაქოს პროლეტარიატის სურვილი და მიზანიც ეს არის. ყოველს ორგანიზაციას თავისი ლოღიკა და თავისი სპეციფიური კოლექტიური პსიხოლოგია აქვს. ძლიერი პიროვნებების ჩათრევაც იცის. სოვდეპის ლოღიკა და პსიხოლოგია ოლიგარხიულ დიქტატურას მოითხოვს. ამიტომაც ამ საკითხში პრინციპიული უარყოფის პოზიცია უნდა დაიჭიროს ყველამ, ვინც დემოკრატიულ წყობილებას იცავს, ვინც სახელმწიფოებრივ ნორმით აზროვნებს და სახელმწიფოებრივი მეთოდით მოქმედებს. ამგვარი ნორმა და მეთოდი არამც თუ სოვდეპიებს და მის ჯარისკაცებს აკლია, არამედ თვით იმ პირებსაც, რომელნიც სახელმწიფოს სათავეში უდგანან. ამაშია ჩვენი სახელმწიფოებრივი სიმტკიცობის მიზეზიც და საქართველოში სოვდეპიის მომაგრების შესაძლოებაც.

ამგვარი შიშის საფუძველს იძლევა ბ-ნი გერასიმე მახარაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი, რომელიც ერთხელმწიფების გამტკიცების დარაჯი უნდა ყოფილიყო და უნდა იყოს დღესაც. იგი ამ სოვდეპურ ანტისახელმწიფოებრივ მიდრეკილებას ამჟღავნებს ბაქოს მუშათა კონფერენციაზედ 15 ივნისს, სადაც თბილისის მუშათა საბჭოს სახელით გამოვიდა. ბ-ნი მახარაძე აცხადებს, ჩვენ მივმართავთ მთავრობებს ბრძოლის მოთხოვნით და თუ მათ ბრძოლა არ შეუძლიანთ, ჩვენ თითონ დავრაზმავთ ჩვენს ძალებსო. ბ-ნი მახარაძე აზროვნებს სახელმწიფო ფორმისა და წესიერი მთავრობის გარეშე, როგორც სოვდეპიის წევრი და წარმომადგენელი. კიდევ კარგი რომ ბ-ნი მახარაძე დღეს მხოლოდ თბილისის მუშათა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგია და არა მინისტრის ამხანაგი და შეუძლიან სოვდეპიური ორგანიზაციით და პსიხოლოგიით დაუპირდაპირდეს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და მთავრობის ღონისძიებათ. მაგრამ საინტერესოა, რას იტყოდა ბაქოს კომუნისტების წინაშე ბ-ნი ნ. ჟორდანია, რომელიც ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეც არის და თბილისის მუშათა საბჭოს თავმჯდომარეც?! ბ-ნი ნ. ჟორდანია, რომელიც ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ წავიდოდა, საბჭოთა თავმჯდომარისა, თუ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიის წინააღმდეგ? ბოლო უნდა მოგლოს ამ წაჯექ-უკუჯექობას და ორ სახეობას. საქართველოს ჰყავს თავისი დამფუძნებელი კრება და წესიერად შედგენილი მთავრობა. ყოველ გვარი ძალა-უფლება იმათ ხელშია. საქართველოს ყოველი მოქალაქე და ყოველი ორგანიზაცია მათ უნდა მორჩილობდეს. მათი დადგენილება და გადადგმული ნაბიჯები ყველასათვის სავალდებულოა. ყოვლად შეუწყნარებელია ცალ-ცალკე ჯგუფებმა დაიჩემონ სახელმწიფო ფუნქციები და შეუდგნენ ცხოვრებაში ამ ფუნქციების ორგანიზაციულად გატარებას. ამ ანარქისტულ სულისკვეთების ლიკვიდაცია ბოლოს მაინც უნდა მოხდეს. ჩვენ სახელმწიფო ვართ და მხოლოდ სახელმწიფოსთან გვმართებს მოლაპარაკება და არა მონარქისტე ცალკე ჯგუფებთან. ბაქოს პროლეტარიატი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სცხოვრობს, ის უნდა გაჰყვეს და დაემორჩილოს აზერბაიჯანის კანონებს, მისი პარლამენტის მთავრობის გარდაწყვეტილებას. ამიერ-კავკასიაში დღეს სახელმწიფოებრივი ფორმაციებია, და მხოლოდ მათ მთავრობებსა და პარლამენტებს ეხელმწიფების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა და მიმოხრა. ხოლო ამიერ-კავკასიის სოვდეპიათა კონფერენციაზედ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის, თუ არ ბრძოლის საკითხის გადატანა. სოვდეპიებს დაუბრუნებს ხელმწიფებისა და საზოგადოთ სახელმწიფო ფუნქციების დაჩემების გუნებას და ხასიათს და ამავე დროს შეარყევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის და მათ მთავრობების მდგომარეობას. სოვდეპიების კონფერენციის შეწყნარება, ეს იქნება ბოლშევიკური მოძრაობის გაძლიერებისთვის აშკარა ხელის შეწყობა.

თბილისის სოვდეპია უნდა ბოლომდის მიჰყვეს იმ კეთილ ალღოს, რომელმაც მას ამ ბოლო დროს სიფრთხილის გრძნობა გაუღვიძა. ხოლო საქართველოს მთავრობამ უნდა აკრძალოს თვის ტერიტორიაზე ამიერ-კავკასიის სოვდეპიათა კონფერენცია.

ქრონიკა

◆ **საქართველოს მისია იტალიაში.** პოლკოვნიკ გაბბას რომიდან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იტალიაში გაემგზავრება საქართველოს დიპლომატიური მისია.

◆ **ფოცხოვის შეერთების შესახებ.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა პროექტი, ფოცხოვის რაიონის ახლციხის მაზრათა შეერთების შესახებ.

◆ **ერობათა წვრილი ერთეულების შესახებ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი ერობათა წვრილი ერთეულების შესახებ. კანონ-პროექტი ამ მოკლე ხანში გადაეცემა მთავრობას.

◆ **სამხედრო უწყების შტატები,** დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ უკვე დაამთავრა სამხედრო უწყების შტატების პროექტის განხილვა. პროექტი ამ მოკლე ხანში წარედგინება დამფუძნებელ კრებას.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ხეით იაშვილის მიერ შედგენილი „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა, წიგნი მეორე—ბოტანიკა“. ამ წიგნის მეორე გამოცემა მოწონებულია ეროვნულ საბჭოს განათლების სექციასთან არსებულ სპეციალ კომისიის მიერ უმაღლეს დაწყებით და საშუალო სასწავლებელთათვის. წიგნი დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე. შეიცავს 72 გვერდს და ჰღირს 7 მანეთი და 50 კაპ.

ეკონომიური ცხოვრება.

◆ **გაცვლა გამოცვლა.** საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტთან დაარსდა საგანგებო კომისია რომელსაც დაევალა, გამოარკვიოს საქონლის გაცვლა-გამოცვლის დღევანდელი მდგომარეობა. აგრეთვე მან უნდა გამოარკვიოს ის საქონლები და მათი რაოდენობა რომელნიც 1 რიგში უნდა გაიტანონ საქართველოდან.

◆ **ბანკის მოსამსახურეთა გაფიცვის ლიკვიდაცია.** ორშაბათს 23 ივნისს ვოლგა-კამის ბანკში შესდგა თბილისის ყველა საკრედიტო და დაწესებულებათა გამგეთა კრება, რომლის საგანი იყო საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვა. კრებამ სათანადო ზომები მიიღო გაფიცვის საჩქაროდ ლიკვიდაციისათვის.

◆ **უძრავ-ქონებათა შეფასება.** ქალაქის გამგეობამ გამოჰყო საგანგებო შემფასებელი კომისია, რომელმაც უნდა ხელ-ახლად შეაფასოს ქალაქის უძრავი ქონება.

სომეხთა ცხოვრება.

თავშესაფართა ჩაბარება. სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრმა საქართველოში მყოფ თავის რწმუნებულს აცნობა, რომ აქ შეუდგეს ჩაბარებას იმ თავშესაფართა, რომელნიც დღემდე ამერიკელთა ხელში იმყოფებოდნენ.

◆ **სომეხთა მიტინგი.** 22 ივნისს, თბილისში ვანქის ეკლესიის ეზოში გაიმართა სომეხთა მიტინგი; რომელსაც ოვანეს თუმანიანი თავმჯდომარეობდა. მიტინგის საგანი ყარაბახში მომხდარი ამბები იყო. დიდი ხნის ლაპარაკის შემდგომ დაადგინეს, მიმართონ საზავო კონფერენციას, რათა ყარაბახი სომხეთის რესპუბლიკას შეუერთდეს. და სანამ ეს საკითხი გადასწყდებოდს, დაინიშნოს ყარაბაღში მოკავშირეთა ადმინისტრაცია.

◆ **სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნებში.** საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები დანიშნულია 20 ივნისისათვის. ცენტრალური საარჩევნო კომისიამ დღემდე 5 სია მიიღო:

1—სიით გამოდის სოციალისტური ბლოკი.
2—სომხეთის სახალხო პარტია.
3 სომეხ სოციალ დემოკრატიული პარტია საქართველოში
4—დაშნაკელები.
5—აფხაზეთის სომეხთა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ბოროტ-მოქმედებანი

◆ **ქურდობა.** 22 ივნისს ღამით ბოროტ-მოქმედებმა არტემ პოპოვის ბინიდან 30.000 მ. ბონები და სხ. და სხ. ნივთები მოიპარეს.

— ელისაბედ კუდრისკამ (ევანგულოვის ქუჩაზე მცხოვრები) მილიციას განუცხადა, რომ მოსამსახურე ქალმა მას 76,200 მ. ღირებული სხ. და სხ. ძვირფასი ნივთები მოიპარა.

— ვასილ ჯაჯუამ (ქუთაისის ქუჩაზე მცხოვრები) მილიციას განუცხადა, რომ მისი ბინიდან, რომელიც ელისაბედის ქუჩაზე მდებარეობს, ბოროტმოქმედმა 8,000 მანეთად ღირებული ცხენი მოიპარა.

ავდეევის გადასახლება. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გააძევეს დენიკინის ცნობილი აგენტი ავდეევი.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ მეორე წერილში მრავალი კორექტურული შეცდომებია დაშვებული: მე 20-ე სტრ. სწერია: „სამი აზრი გამოითქვას“ უნდა იყოს „რაიმე“ მე 29, სტრ. „ლალი-გადასმული“ უნდა იყოს: „ლალა გადასმული“ ქვევიდან მეორე სტრ. (1 სვეტი) „და აბა სხვა“ უნდა იყოს „არა“.

უკანასკნელი ცნობები

დამფუძნებელმა კრებამ საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება დაადასტურა.

ბელგიაში ხალხი ენერგიულად შეუდგა დანგრეულ ქალაქების განახლებას.

საფრანგეთის მაღაროს მუშათა გაფიცვა დასრულდა.

ჩრდილოეთ დვინის და ეკატერინოსლავის მიმართულებით ბოლშევიკები იხევენ, ხოლო ცარიცინის მიმართულებით წინ მიიწევს.

კოლჩაკი ურალსკს ზარბაზნებს უშენს.

წითელი ჯარი რუმინელებს ამარცხებს.

პროვინციის ცხოვრება

ს. ენისელი

სოფელ ენისელში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ფოსტის გაცვლა-გამოცვლა დაწესებულია თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორასთან, რომელიც ენისელს შორავს ოცი ვერსით. ტელეგრაფის მოწყობამდე განყოფილებაში დროებით იწარმოებს მხოლოდ ფოსტის ოპერაციები.

—

ბორჩალო

ბორჩალოს მილიციონერებმა სოფ. მანთაშევქასთან ამოხოცეს სამი ცნობილი ყაჩაღი: მაჰმედ-სოლეიმან-ოღლი, არტავ-ისმაილ-ოღლი და ოალი ყიოზიმი.

დამფუძნებელი კრება

კვირას, თიბათვის 22-ს მოხდა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, საქართველო-აზერბაიჯანის რატიფიკაციისათვის.

მომხსენებელმა ს. მდივანმა მოახსენა დამფუძნებელ კრებას ხელშეკრულება და აღნიშნა, რომ სომხები არ იღებენ მონაწილეობას კავკასიელ ხალხთა თანამშრომლობაში. ბოლოს იმედი გამოსთქვა, რომ სომხის ხალხი მიუხედავად მათი მეთაურების სურვილისა, მაინც მეგობრულ განწყობილებას აღადგენენ.

ს. მდივანის შემდეგ ლაპარაკობს გეგეჭკორი რომელიც იმედს გამოსთქვამს რომ თუ დღეს ასეთი ხელშეკრულებით გაერთიანდა ორი ხალხი, აუცილებელია რომ შემდეგში თავს მოიყრის ყველა კავკასიის ხალხები.

სანამ არ არსებობს გრანტიები ეროვნულ თავისუფლებისა მანამ საჭირო, ასეთი მეგობრების ძებნა.

საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს იძიებს დაიცვას ქვეყნის მშვიდობიანობა და წინააღუდგეს ყოველგვარ საფრთხეს, ჩვენი ხალხს რომ მოელისო.

ბოლოს ლაპარაკობენ გ. ლასხიშვილი, სპ. კედია რ. არსენიძე, ლ. შენგელია.

სპ. კედიას სიტყვას ცალკე დავბეჭდავთ.

ბოლოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება: „რატიფიკაცია, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებისა რომელიც ქალაქ თბილისში, თიბათვის 16-ს საქართველოს და აზერბაიჯანის მიერ იქმნა ხელმოწერილი დამტკიცებულ იქმნას“.

დადგენილებას დამფუძნებელი კრება დიდი ტაშით შეხვდა. ულოცავდნენ აგრეთვე აზერბაიჯანის აქ მყოფ მინისტრებს.

მოხსენება ილ. აბაშიძისა

ქართ. სამუსიკო საზ-ში.

ჩვენს წინაშე თავის სიფართოვედ არის გადაშლილი კითხვა ორგანიზაცია და მუსიკალური ამაღლება მთელ ერის ცხოვრებისა.

ეს კითხვა განუწყვეტლივ იდგმებოდა ყველა მხარეში, სხვა და სხვა ეპოქაში ამ ნაირად, ჩვენ გვაქვს ისტორიული გამოცდილება, რომელიც შედარებით გვიადვილებს ამ დამდგარ კითხვის გამორკვევას.

ამ კითხვის გამოსარკვევად არის ორი საშუალება:

პირველი—როდესაც მთავრობის აპარატი თავის თავზე იღებს ინიციატივას და ანხორციელებს მუსიკალურ კულტურას მხარეში თავის დანიშნულ მოხელეების წყალობით.

მეორე—როდესაც წარმომადგენელნი და მტარებელნი ეროვნების მუსიკის კულტურისა, მოეწყობიან საზოგადოებად, შეიწრუტავენ ყოველ მხრივ დაქსაქსულ ელემენტებს ეროვნულ ცხოვრებისას, გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ყოველგვარ შემოქმედების ხალხის მუსიკალურ-ცხოვრებისას და ცნობილნი არიან ერში, მთავრობასთან კონტრაქტით და მათ წინაშე ვალდებულნი გაანვითარებენ აუცილებელ არხს მუსიკალურ ცხოვრებათა.

თვით ცხოვრებაში დამყარდა მეორე კითხვაზე და ყველა ეროვნება მიდიოდა ამ ვითარებით, როგორც უფრო ბუნებრივ და ლოღიკურ მსვლელობით.

არის დარგი ხელოვნებისა და მეცნიერებისა (უმთავრესად მასალის მოგროვებისა და შემუშავებისა), რომელიც ვითარდება მხოლოდ ფართე კოლეგიურ მუშაობის პირობით, დაფუძნებულ ავტორიტეტზედ და ნაყოფია შემოქმედებისა ამორჩეულ ერისაგან.

(მაგალითად: აკადემიები, ეტნოგრაფიული—არხეოლოგიური საზოგადოებანი, რუსული სამუსიკო საზ-ბა და სხ.) ეს საზ-ბები ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებად ითვლებიან იმიტომ, რომ:

პირველი—ისინი განაგრძობენ დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს და მთავრობა ანიჭებს მოქალაქობრივ უფლებას იმ პირთა, რომელნიც ეკუთვნიან მუსიკალურ პროფესიას.

აძლევს შემსუბუქებას სამხედრო ბეგარის, გადასახადებისას, ანიჭებდა ღირსებას და სხ...

მეორე—მთავრობინ სუფსიდიით ეს საზოგადოება ვალდებული იყო მის წინაშე და ამავე დროს ხალხის წინაშეც.

ამნაირად ის იყო ხალხური ოფიციალური დაწესებულება.

ცხადია, რომ მთავრობის აპარატი, რომელიც თვალყურს ადევნებდა მხოლოდ პოლიტიკურ იდეალის განხორციელებას (ნამეტნავად ეხლანდელ დროში), არ შეუძლიან თავის დანიშნულ მოხელეების, არა სპეციალისტების საშუალებით თავი მოუყაროს იმ კოლოსალურ მუშაობას იმ მოსაზრებით, რომ გაალრმაოს და, გაანვითაროს ხალხის შემოქმედება და ერთად-ერთი სტიმული კულტურისა გაყინული იქნება ცხოვრებისათვის, ამის გარდა მოსპობილი იქნება მატერიალური დახმარებას კერძო — საზოგადოებრივ ინიციატივის.

მთავრობა მოვალე იქნება მოიწვიოს სპეციალისტები აღნიშნულ საქმის მმართველად ხელოვნების ასაყვავებლად. ამნაირად, შექმნის კოლეგიურ სუროგატს.

რუსულ სამუსიკო საზოგადოებაზ, იმ დამახინჯებულ პოლიტიკურ - საზოგადოებრივ პირობებში ნახევარ საუკუნის არსებობაში გაავრცელა თავის მხნეობა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე. (52 ქალ. გახსნა განყოფილებები; ზოგან არსებობს მხოლოდ სამუსიკო სკოლა 23, ზოგან სამუსიკო კლასები—21 და არსებობს 4 კონსერვატორია).

ამ მუსიკალურ მოღვაწეობის გარდა „საზოგადოება“ ჰმართავს სიმფონიურ, კამერულ და სხვა კონცერტებს. ნაყოფიერი მოღვაწეობა ამ საზოგადოებისა, რომელი ასრულებს სახელმწიფო ოფიციალურ დაწესებულების როლს, მისცა დიდი საფუძველი კერძო ინიციატივის გამხნევებას ამისთანა დასკვნა რუს. სამუსიკო საზოგადოებაში გამოაქვს გაზეთ „ტიმეს“ 1913 წ. ამნაირად, ზემოხსენებულ რეზუმეთ გამოგვაქვს, რომ ჩვენ ვსდგევართ იმ მოსაზრებაზედ: დაარსდეს ტერიტორიული სამუსიკო კოლეგია, რომელიც ემყარება როგორც მთავრობის, აგრეთვე ფართე საზოგადოების ძალას.

კომპეტენცია მუსიკალურ ცხოვრებაში ერისა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მას. ეს კოლეგია ავრცელებს რა თავის მოღვაწეობას ხალხის ფულზედ, რომელსაც მთავრობა აძლევს, ვალდებულია უკანასკნელის და ხალ- წინაშე.

ამნაირად ეს საზოგადოება ითვლება სახელმწიფო-ოფიციალურ დაწესებულებად.

ეს კოლეგია ირჩევა საზ-საგან დემოკრატიულ პრინციპებით.

ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი ქ. თბილისში.

ამ ტაძრის შენობა დასრულდა 1897 წ. გეგმა მისი განხორციელებაა რუსეთის სახელმწიფოს მთელი შემადგენლობისა.

ტაძრის ოთხივე კედელი თავდება ნახევარ გუმბათებით, რომელთა ზედაც დაყრდნობილია მეხუთე უმთავრესი გუმბათი. ეს გუმბათი წარმოადგენს გეგმის შინაარსათ, საკუთარს რუსეთს, ხოლო დანარჩენი ოთხი ნახევარ გუმბათები წარმოადგენენ პოლონეთის, ფინეთის, საქართველოს და ყაზანის სახელმწიფოებს, რომელთა ჭთვით არსებობაც მოსპო რუსეთმა და გაავრცელა მათზე თვისი მფლობელობა.—მახსოვს, ერთხელ ლაპარაკის დროს ტაძრის ამისანა მნიშვნელობაზედ განსვენებულმა, ნიკო ლომაურმა წამოიძახა: „ახ, შემასწრო იმ წუთს, რომ ის ოთხივე გუმბათი გამოსცლოდეს იმ დიდ გუმბათ-რუსეთს და სამუდამოდ დამსხვრეულიყოს იგი“. ნატვრა მისი კი ასრულდა, მაგრამ თვით განსვენებული ველარ შეესწრო თვისი ნატვრის აღსრულებას.

საკითხის ტაძრის დასაკუთრებისა საქართველოს რესპუბლიკის მხედრობის მიერ თან მიჰყვა 1918 წ. 26-ს მაისს, მაგრამ მისმა წინანდელმა პატრონმა მრავალგვარი ხრიკებით დღემდის შეინარჩუნეს თვის ხელში მაზედ მფლობელობა და, როგორც გაზეთებშიაც იყო ოფიციალურად გამოქვეყნებული, გადააქციეს იგი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციის ადგილად. ეხლაც, თუ არა დაუშრეტელი ენერგია და დაუღალავი შრომა თბილისის შეცხოვნე ჯარების უფროსის გენერალი თ. ა. გ. მაყაშვილისა, რომელიც თავმჯდომარეა მთავრობისაგან დანიშნულ ეკლესიის მიმღებ განსაკუთრებულ კომისიისა, იქნება არც ახლა გადაწყვეტილიყო ეს საკითხი ჯარების სასარგებლოდ.

განსაკუთრებულმა კომისიამ ჩაიბარა უკვე ეკლესია და გუშინ 22 თიბათვეს შესრულებული იყო ტაძარში პირველი საეკლესიო წირვა ქართულ ენაზედ. წინა დღეს ღამისთევითი ლოცვაზე მოვიდა ტაძარში თბილისში მყოფი რესპუბლიკის ჯარი და შეიკრიბა მრავალი გარეშე მლოცავიც. გალობდა ქაშუეთის ეკლესიის მგალობელთა გუნდი. წირვაზედ კი იგალობა ორმა გუნდმა: კომპ. ფოცხვერაშვილისა და ქაშუეთის ეკლესიისამ. წირვაზედ ტაძარი მლოცავებით გაივსო. პირველი რიგი მხედრობას ეჭირა. ერთმა მლოცავთაგანმა იმის სამადლობელად, რომ ეღირსა იგი ამ ტაძარში ქართულ ენაზედ წირვის მოსმენას, ოცი თუმნის სანთელი იყიდა და დაანთო ტაძარში. ხოლო გენერალმა ა. გ. მაყაშვილმა, როცა დანიშნულ დროს, ეკლესიისათვის იკრიბებოდა შეწირულება, თვითონაც ჩამოიარა თეფშით და შეკრიბა საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ 460 მანეთი. წირვის გათავებისას კი ჯარების უფროსმა მღვდელმა დეკანოზმა ანტონ თოთიბაძემ შესაფერისი სიტყვით მიმართა მლოცავებს.

როგორც ღამისთევითი ლოცვაზედ, აგრეთვე წირვაზედაც იყვნენ ტაძარში ზოგიერთი რუსებიც. ხოლო, რათა ამ ტაძარში მოსიარულე რუსებს ჰქონდათ საშუალება მოესმინათ სღმრთო მსახურება სამშობლო ენაზედ, შესრულებული იყო ამავე ტაძარში ნაადრევი წირვა რუსულ ენაზედ დილის 7 საათზედ.

ზემოდ განგებ ხაზი გავუსვი სიტყვებს „საეკლესიო წირვა“-ს იმისთვის, რომ, როგორც გავიგონე, ყოფილა თურმე სამოქალაქო წირვაც. ასე მოუნათლავთ ი. არაყიშვილის წირვა. მე, რასაკვირველია, არც სპეციალისტი ვარ და არც იმდენად მცოდნე გალობისა, რომ შემეძლოს დაფასება დიდად პატივცემული კომპოზიტორის ნაწარმოებისა; არც მიიპოვება ჩემში სხვა რაიმე გრძნობა ბ. არაყიშვილის შესახებ, გარდა მისდამი ღრმესი პატივისცემისა, როგორც სასიქადულო მოღვაწისადმი სამუსიკო ასპარეზზედ. მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო გაგონილი- და ჩემის ფიქრით ასეთი გადანათვლა ნაწარმოებისა გამოიწვია უთუოდ იმ გარემოებამ, რომ ეკლესიას ვერ უცვნია იგი ნაწარმოები თავისად, თუ ნაწარმოებს ვერ უცვნია ეკლესია თავისად იგი, სამწუხაროდ, მარტო თეატრებში და კლუბებში სრულდება.

დასასრულ მინდა აღვნიშნო მორიგი საკითხი ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის შესახებ. დარჩება იგი ტაძარი ამავე სახელით, თუ უნდა გადაქართულდეს მისი სახელიც?

დეკანოზი ნ. ნათიძე

ქართველ ლტოლვილთათვის

გაზეთ „საქართველოს“ ივნისის 17-ის ნომერში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: „მიხედეთ ლტოლვილებს!“ რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს ქართველ ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობას ორთაჭალის თავშესაფარში ვინაიდან აღნიშნულ ცნობებში ავტორი არ იძლევა ნამდვილ სურათს ლტოლვილთა მდგომარეობისას, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

ამ ჟამად ქ. თბილისში იმყოფება 1250 კაცი თერგის ოლქის-ალაგირელი ლტოლვილები, რომელნიც მოთავსებულნი არიან ორთაჭალაში, ვორონცოვის ქუჩაზე და ელიაროვის შესახვევში, სადაც მათ დათმობილი აქვთ ყველა თავისუფალი სახლები და ზო-

აფხაზეთში

2. ახალი მმართველობა.

„თუ ეხლა ქართველებს ჩაუვარდა ხელში უფლება, შემდეგში მათ დარჩება აფხაზეთის მართვა-გამგებლობის საქმეც“. ასეთი იყო რუსების აზრი და დასკვნა.

ჩვენი მმართველი პარტიის წარმომადგენელნი სოხუმში ძლიერ მოუმზადებელნი, სუსტი და გაუბედავი დარჩნენ ამ შემთხვევაში: იმის მაგიერ, რომ მომავალი მოსალოდნელი დაბრკოლებათა და წინააღმდეგობის აუცილებლად თავიდგანვე დაეყენებიათ საქმე საიმედო ნიადაგზე ასეთ დიპლომატიურ ხერხს მიჰმართეს: აბხაზებსაც დაუწყეს მოფერება და რუსების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც საჭიროდ სცვნეს. მათი მეცადინეობით და არჩევნების საქმის თავისებური წესით მოხერხების გამო ოლქის მმართველობის სათავეში აბხაზი—ალექსანდრე შერვაშიძე დასვეს, მაგრამ ფაქტიური გამგედ და ოფიციალურად კი თანაშემწედ აირჩიეს მიტია ზახაროვი. ერთი თვის შემდეგ კი მთელი უფლება რუს მიტიას ჩააბარეს.

ეს „მიტია“ რწმენით, ვითომ სოციალისტ-დემოკრატ-მენშევიკია, მაგრამ ბუნებით და გრძნობით ნამდვილი „შამალი რუსი“, ზნეობით დიდათ სუსტი და დაუდეგარი; საქმეში დიდი ზარმაცი, დაუნდობელი და ფლიდი: ფარულად ყოველგან ქართველური საქმის მოწინააღმდეგე და მტერი, აშკარად კი საერთაშორისო თანხმობის ხმა-მაღლა მოქადაგე. ასეთი კაცი დარჩა ფაქტიური გამგე მთელი სოხუმის ოლქის საქმეების. რა თქმა უნდა, ამნაირი ადმინისტრატორის დახმარებით ქართველობა ვერავითარ საქმეში ვერ იხეირებდა. მართლაც, პირველსავე შემთხვევის დროს გამოჩნდა მისი ქართველობისადმი მტრული განწყობილება: როცა საქართველოში პირველი რევოლიუციონური აქტი ეკლესიის განთავისუფლებით ავტოკეფალიის გამოცხადებით დაიწყო, ჩვენც სოხუმელმა ქართველობამაც მოვისურვეთ სინოდის თავისუფლებაზედ ზრუნვა: შევკრიბეთ სამღვდელოება და გვინდოდა ავტოკეფალურ საქართველოს ეკლესიისათვის შევვეერთებია აბხაზეთის სამწყსო, ადმინისტრაციის უფროსმა ამ საქმეში არა თუ თანაგრძნობა არ აღმოგვიჩინა, მუქარა და წინააღმდეგობაც დაგვიწყო: „ჯარებს გამოვიწვევ და თქვენ სამღვდელოებას მათრახით გავდევნიო“. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სოხუმელი მეთაურნი ამ შემთხვევაშიაც შეუგნებლად შეხვდენ საქმეს: მართალია თეორიით სოციალისტებს საეკლესიო საქმე არ უნდა აინტერესებდეს, მაგრამ ცხოვრებისათვის და განსაკუთრებით სოხუმის ოლქის ქართველთა მდგომარეობისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს: რუსის სამღვდელოებას ექნება აბხაზეთში უპირატესობა, თუ ქართველს. შეიძლება კარგის გაკეთება ეხლანდელ პირობებში სამღვდელოებას არ უხერხდება, მაგრამ ავის ქმნა კი, განსაკუთრებით რუსული ტიპის სამღვდელოებას ძლიერ ბევრი შეუძლია. ვინც თვალ-ყურს ადევნებს აფხაზეთის ცხოვრებას, იმან იცის, რომ რუსის სამღვდელოებას დიდი გავლენა აქვს აბხაზთა სოფლებში, მათი მოღვაწეობის შედეგია ამ ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში ის მტრული განწყობილება, რომლითაც გაჟღენთილია მოზარდი ახალგაზდობა აბხაზეთში ქართველობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ვისაც ქართველობის გავლენა-მნიშვნელობის გამტკიცება უნდა აბხაზეთში, ის უპირველესად ყოვლისა იმაზედ უნდა ფიქრობდეს, რომ თვით აბხაზთა შორის ჩვენებურობის საწინააღმდეგო ქადაგება და მოქმედება მოსპოს; მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ჩვენი მმართველი პარტიის სოხუმელი მეთაურნი ძლიერ ცოტად იყვნენ და დღესაც არიან გაცნობილნი აბხაზთა ცხოვრებასთან და მათ განწყობილებასთან, ამით აიხსნება ის, რომ ძლიერ კარგად მოფიქრებული აზრი რუსის სამღვდელოების გავლენის მოსპობის შესახებ აბხაზეთში, ისე უნაყოფოდ ჩაიარა. ჩვენებურ სამღვდელოებას მხოლოდ რიცხვით მცირედმა პარტიებმა დაუჭირეს მხარი: ეროვნულ-დემოკრატებმა, ფედერალისტებმა და ერთმა რუსული ესერების წევრმა-ქართველმა. უმრავლესობამ კი სოციალ-დემოკრატებმა ოლქის კომისარ ზახაროვის მეთაურობით სამღვდელოების დახმარება რეაქციონერულ საქციელად აღიარა და არავითარი თანაგრძნობა არ აღმოუჩინა ჩვენ მღვდლებს, ამის შემდეგ მეორე პოლიტიკური მოქმედება იყო დიდათ დასაფიქრებელი ქართველობისათვის—საქალაქო არჩევნების საქმე. უნდა იცოდეს ჩვენებურმა საზოგადოებამ, რომ სოხუმის ქალაქის არჩევნების გამო მთელი სისტემატიური ბრძოლა არსებობს ქართველთა და რუსობის შორის ოც წელზედ მეტია, 1897 წლიდგან დაწყებული ე. ი. დღიდგან თვითმართველობის შემოღებისა. რუსები, როგორც ყოველივე საქმეში, ისე ქალაქ სოხუმის მცხოვრებთა განწყობილების გამორკვევაში შემცდარ აზრს ემყარებოდენ: მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ სოხუმი რუსის ქალაქი უნდა იყოსო და ამ მიზნით ყოველივე საშუალებას ხმარობდენ, რომ რუსობისათვის აქ ხელი შეეწყოთ და სხვა ელემენტებისა, განსაკუთრებით კი ქართველების ნორმალურ ცხოვრების განვითარებისათვის ხელი შეეშალათ. როცა თვით ცხოვრება უმტკიცებდა, რომ ქ. სოხუმის მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველობაა და მთელი კულტურული შრომა ამ ქალაქში ქართველობის ხელშია, მაშინ მთავრობა ძალ-დატანებით, ხელოვნური საშუალებით მათ შეფერხებას სცდილობდა; ამ წესით არც ერთ ქართველობისაგან არჩეულ ქალაქი თავს არ ამტკიცებდა და მათ მაგიერ რუსებს ნიშნავდა.

მხოლოდ 1905 წლის შეკვეცილი უფლების მოპოების შემდეგ სოხუმელ ქართველებს მიეცა ნება არჩეული კაცი ყოლოდათ ქალაქის თავად. 1905 წლის არეულობით ისარგებლეს სოხუმელმა რუსებმა უნდოდათ „სოციალიზმის“ და „ინტერნაციონალის“ ბაირაღის შემწეობით თავის რუსული ჰანგი გაესაღებინათ, მაგრამ გაბედული და მხნე წინააღმდეგობის შემდეგ ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, მხოლოდ, როცა 1906 1907 წ. რეაქცია დამყარდა, ისევ ძველებურ წესს დაუბრუნდენ და მთავრობის დახმარებით, ძალდატანებით სდევნიდნენ ქართველთაგან არჩეულ ქალაქის თავს.

თებერვლის რევოლიუციამაც იმედები აღუძრა სოხუმელ რუსობას ფიქრობდენ არეულობის მეოხებით ისევ შესძლებოდენ „ჰეგემონიის“ ხელში ჩაგდებას. სოხუმელი რუსების მიზანი ის არი, რომ ქალაქის სათავეში ქართველური საქმეების მედგარი დამცველი არ იყოს: ისინი ყოველთვის მზად არიან ისეთ ქართველს მისცენ ხმა, რომელსაც ეროვნული მოთხოვნილების დაცვის უნარი განვითარებული არ აქვს. ამ მხრივ რუსობის უმრავლესობა დიდის ხალისით მხარს აძლევს ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს, რადგანაც მათი მოტყუილება და მოხმარა თავის მიზნების შესაფერად მათთვის უფრო ადვილია, ამ მიზნით, ახალი წესი, რომლის მეოხებითაც „ინტერნაციონალური“ აზრის მომხრეებს უპირატესობა ეძლეოდა. დიდათ ხელ საყრელი შეიქნა სოხუმელ რუსობისთვის. ჩვენ, გვინდოდა ახალი წესი დამკვიდრებულიყო, მაგრამ ქართველური საქმე არ დაზიანებულიყო, ვსცდილობდით, რომ დემოკრატიული პრინციპების დაცვასთან ერთად ჩვენი ეროვნული საქმეც არ დაჩაგრულიყო.

ამიტომ გვინდოდა რამენაირად მეთაურ პარტიის შემადგენლობა საუკეთესოდ შეგვეცვალა: ვსცადეთ დაგვესახელებია ისეთი კანდიდატები, რომელნიც რწმენით სოციალისტები არიან, მაგრამ იმდენად მომზადებული და შეგნებული, რომ სადავო აზრებს თავის ქვეყნის არსებით საჭიროებას არ ანაცვლებდენ და კიდევაც შესძლებდენ თეორეტიული მოსაზრებითაც გამართლებიათ ქართველობისათვის სასარგებლო მოქმედებანი. ერთ ასეთ კანდიდატათ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატების მეთაურად და ქალაქის-თავად ჩვენ დავასახელეთ ნიკოლოზ ქარცივაძე! მაგრამ პარტიამ დროზედ ვერ მიიღო ჯეროვანი ზომები და ეს საქმე არ მოეწყო.

არჩევნები, როგორც მოსალოდნელი იყო იმ წესით და ხერხით, რომელიც ყოველგან ხმარებული იყო სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით დამთავრდა: ორმოც ხმოსნებიდგან—19 მათი მომხრე არჩეულ იქმნა; 12 შემთხვევით გამვლელ რუსის ჯარისაგან არჩეული „ესერები“, სამი „კადეტი“ ორი ფედერალისტი, ორი ეროვნულ-დემოკრატი, ორი ებრაელი, ერთი უკრაინელი, ერთი სომეხი.

გამარჯვებულ პარტიას წინასწარ არ მოუფიქრებია, ვინ მოიწვიოს ქალაქის თავად და გამგეობის წევრებად, არც სოხუმის განსაკუთრებული პირობები გაუთვალისწინებია. რომ შემთხვევით ქ. სოხუმში იმ ჟამად ბენია ჩხიკვიშვილი არ გაჩენილიყო, სოხუმელ სოციალისტებს თავი არ ეყოლებოდა. ბ. ბენია ჩხიკვიშვილი შავი ზღვის ნაპირა რკინის გზის მკეთებელ საზოგადოების საქმეების ზედამხედველ „კომისარად“ იყო დანიშნული მაშინდელ მთავრობისაგან. რა თქმა უნდა, ბენია ჩხიკვიშვილმა, დაინახა რა სოხუმელ სოციალისტთა სრული მოუმზადებლობა და უთაობა, სავალდებულოდ ჩასთვალა დასთანხმებოდა სოხუმის ქალაქის თაობის თანამდებობაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ შავი ზღვის რკინის გზის კომმისარადაც დარჩენილიყო. მთავრობამაც, რა თქმა უნდა სოხუმელი სოციალისტების თხოვნით, დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილება. ფაქიზ ზნეობრივ საკითხებს რომ გვერდი აუხვიოთ, ეს შეერთება ორი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის ერთი ადამიანის მეთაურობით უხერხული შეიქნა თვით ცხოვრებისავი მოთხოვნილების გამო: ჯერ ერთი სოხუმის ქალაქის [illegible] ბევრი საწინააღმდეგო, სადაო დასაჩივარი საქმეები ჰქონდა შავი ზღვის რკინის გზის მართველობასთან. ავიღოთ მაგალითად მიწის საკითხი: ქალაქის ინტერესი მოითხოვდა, რომ, რაც შეიძლება, კარგი ფასები აეღო კერძო აქციონერულ საზოგადოებისაგან რკინის გზისათვის საჭირო მიწების საფირალოდ; საზოგადოება კი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მიწის ფასები დაეწია, როგორც ქალაქისათვის, ისე კერძო მესაკუთრეებისათვისაც. არც დამწვადის დაწვა და არც შამფურის“ ამნაირ შემთხვევაში შეუძლებელი იყო; მეორე უხერხულება ისიყო, რომ რკინის-გზის საზოგადოების კომისარს მუდამ მუშებთან უთანხმოება უნდა ჰქონოდა: რაც უნდა ერთგული იყოს კაცი მუშების, ეხლანდელ პირობებში ყველა გონიერი, შეგნებული მომხრე მუშათა მდგომარეობის დიდი თანამდებობისა, არ ეთვისებოდა მუშათა საკითხის ეხლანდელ მდგომარეობას, როცა მუშას ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი კაცი, ეს მისთვის ადვილი გასაგებია, მაგრამ, როცა მათ სასარგებლოდ შემუშავებულ პირობების განხორციელებას ხელს უშლის ქალაქის თავი და იგივე იმავე დროს იმ საზოგადოების ინტერესს იცავს, რომელიც მათ „ექსპლოატატორად“ მიაჩნიათ, მუშა ამ გარემოებას ვერ ეთვისება და მოწინააღმდეგეს მტრად და ორგულად სთვლის. სწორედ ამ გარემოებამ ბევრი ისეთი რთული უთანხმოება გამოიწვია, რომლის შედეგად ყველა ის უბედურობა-ხიფათი მოხდა, რომელსაც „ანარქია“ და „ბოლშევიკების“ გაბატონება მოჰყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თებერვლის რევოლიუციის პირველ ხანებში ჩვენებური გაუნათლებელი სოციალ-დემოკრატების აზროვნობა ნამდვილი „ბოლშევიკური“ იყო; კარლოს ჩხეიძის ცნობილი „ფორმულა“: ჩვენ მთავრობას მხარს უჭერთ იმდენად, რამდენადაც... ყველა ჩვენებურ სხვისი სიტყვებით გაზეპირილ სოციალისტებს ყოველგან პირზედ ეკერათ; ოთხი თვე ვიყავი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და დიდი წვალება-ტანჯვა გამოვცადე იმის მტკიცების გამო, რომ მეცნიერულად მოაზროვნე სოციალისტი ეხლანდელ პირობებში ვერ უარჰყოფს ბურჟუაზიულ წყობილების არსებობის საჭიროებას! „დავაჭიროთ, წავართვათ, ზედმეტი გადავახდევინოთ, აუკრძალოთ ვაჭრობა, ჩამოვართვათ საქონელი, ასეთი მოთხოვნილებანი ყოველ დღე ირჩეოდა, არც ერთ იურისტს და ნასწავლ წევრს კომიტეტისას ნდობა და სმენა არ ჰქონია.

ყოველი საქმის ბედ-იღბლის გადამწყვეტი ის „სევა“ კუხალეიშვილ ურუშაძე და სხვა მათნი ამხანაგნი იყვნენ, რომელნიც შემდეგში ბოლშევიკთა მეთაურნი და ხელმძღვანელნი შეიქნენ.

—28.

ნიკო თადუმბარიძე

(შემდეგი იქნება)

გი მათგანი სცხოვრობენ ორთაჭალის ბაღების შენობებში.

თუმცა ლტოლვილთა ბინები წვიმისა და სიცივისაგან უზრუნველყოფილია, მაგრამ სივიწროვის გამო არაა დაცული ჰიგიენური მხარე თავშესაფრისა, რაც საუბედუროდ საზოგადო მოვლენაა. შესაფერ ბინების საშოვნელად მიღებული იყო ყოველგვარი ზომები, როგორც საქველმოქმედო საზოგადოებისაგან, აგრეთვე ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტისაგან (მილიციასაც ქონდა დავალებული ბინების აღმოჩენა) მაგრამ მიუხედავათ მიღებულ ზომებისა მაინც შეუძლებელი შეიქნა ბინების შოვნა, მით უმეტეს ალაგირელ ლტოლვილთა მოსვლამდის, ლტოლვილთა კომიტეტს დასჭირდა კავკავიდან ჩამოსულ 3600 კაცის ბოლშევიკების დაბინავება.

გამოკვების მხრივ აღნიშნული ლტოლვილები უფრო კარგ პირობებში იმყოფებიან, ვიდრე დანარჩენი ლტოლვილები. მათ წინააღმდეგ ცენტრალურ ლტოლვილთა კომიტეტის დადგენილებისა, რომ ნახ. გირვ. პური მისცემოდათ დღეში—ეძლევათ 1 გირვ. სულზე. ამასთანავე ეძლევათ: ზეთი ლობიო, ჩაი და შაქარი. ამჟამად კი პური ეძლევათ სულზე მეოთხედი გირ. დღეში.

თანახმად ლტოლვილთა საერთო დებულებისა მიღებულ ცენტრალურ კომიტეტის მიერ, ლტოლვილთა 20 პროც. (ბოვშების და სუსტების) გამოკვების მაგიერ, მთელად ყველა ალაგირელები ღებულობენ ყოველნაირ სურსათს.

საექიმო დახმარების მხრივ მდგომარეობა ლტოლვილებისა ძალიან მძიმე იყო. მათ შორის უკვე გზაში და მოსვლის დროს აღმოჩნდა 45 პროც. ავადმყოფი და მომეტებული შემთხვევაში პარტახტიან სახადით ავადმყოფნი. საჭირო იყო მათი სასწრაფოდ საავადმყოფოში მოთავსება. მოწყობა საკუთარი ლაზარეთისა—ორთაჭალაში არ იყო შესაძლებელი შენობის უქონლობის გამო. ამავე დროს ქალაქის ბარაკებშიაც პირველ ხანებში არ ღებულობდენ ავადმყოფთ, უადგილობის მიზეზით საავადმყოფოებში მომხდარ გაფიცვების გამო. ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ იძულებული ჰყო საზოგადოება და ცენტრალური ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი ეზრუნა საკუთარ საავადმყოფოს გახსნისათვის და ამავე მიზნით ქალაქმა გახსნა აპრილის შუა რიცხვებში ლტოლვილთათვის საავადმყოფო ორთაჭალაში.

საავადმყოფოს ჰყავს შტატი: ორი ექიმი, ფერშალი, მოწყალების დები, და სანიტარები. პირველ ხანებში სახადმა იმსხვერპლა ერთი ექიმი, ფერშალი და სამი მსახური. საავადმყოფოსთან არსებობს საამბულატორიო განყოფილება, სადაც ყოველ დღე იღებენ გარეშე მოსიარულე ლტოლვილებს.

საავადმყოფოში თითო ავადმყოფზე გადადებულია დასახარჯათ დღეში ათი მანეთი.

ეძლევათ ავადმყოფებს, ხორცის ბულიონი, რძის ფლავი (რძით ქაშა), ღვინის კისელი და აგრეთვე ყავაც მჟლის გასამაგრებლად. დღიდან საავადმყოფოში იყო მოთავსებული 239 სული, ამათგან გარდაიცვალა 22 სული. ამ რიცხვიდან მოზრდილები 60 პროც. გარდაიცვალა ტიფით, 40 პრ. კი სხვა და სხვა ავადმყოფობით. საერთოდ საავადმყოფოს გარდა თავშესაფარში გარდაიცვალა ტიფით კიდევ ოცი სული.

თავშესაფარი ბოლო ხანებში სანიტარულის მხრივაც უფრო კარგად მოეწყო. საავადმყოფოს ჰყავს ურემი ნაგავის გადასატანად და ეტლი ავადმყოფთა გადასაყვან-გადმოსაყვანად.

ბოლო ხანებში მთავრობამ მიიღო რადიკალური ზომები, რომ ლტოლვილები დაესახლებია საქართველოში თავისუფალ მიწებზე ასეთ ადგილად ამორჩეული იქნა სიღ. მაზრაში კაბალო. მიწად მოქმედების სამინისტროს მიერ გაიგზავნა მიწის მზომელები, საბუშაოდ. აგრეთვე ლტოლვილთ მიეცემათ ხის მასალა სახლების ასაშენებლათ და ყოველნაირი სამეურნეო იარაღებიც.

პირველი პარტია ლტოლვილებისა 339 სულისაგან შემდგარი უკვე გაიგზავნა თბილისიდგან სამგზავრო მატარებლით 20 ივნისს, და თან გაყოლა საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის რწმუნებული ბ. ხმალაძე.

ლტოლვილები დროებით მოთავსებული იქნებიან (სანამ სახლებს აიშენებდენ) ლაგოდეხის სამხედრო ყაზარმებში, რომელთა მოსაწყობათ თიბათვის პირველ რიცხვებში საქველმოქმედო საზოგადოებამ გაგზავნა ფერშალი ლტოლვილთა ლაგოდეხის თავ[illegible]რის გამგე ბ. ბაქრაძე.

ლტოლვილთ აღმოუჩინათ სურსათით დახმარება ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებით პირველ ხანებში მიეცათ მათ 58 ფუთი ფქვილი, სამი დღისათვის გამომცხვარი პური სულზე ორი გირვანქა, და აგრეთვე შაქარი და ჩაი ათი დღისთვის.

ნაწილი ალაგირელ ლტოლვილებისა მიდიან რაჭში. ამ ორი კვირის განმავლობაში საქველმოქმედო საზოგადოებამ უკვე გაემგზავრა რაჭაში 18 ოჯახი, 56—სულისაგან შემდგარი. მათაც მიეცათ დახმარება, როგორც ფულით—აგრეთვე სურსათითაც,

საერთოდ ლტოლვილთა დახმარების საქმეს განაგებს საქველმოქმედო საზოგადოება—ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტთან სრულს თანხმობით და რითაც შეუძლია ეხმარება ლტოლვილებს.

ალაგირელ ლტოლვილებს და მათ რწმუნებულებს დღემდე არავითარი საჩივარი არ შემოუტანიათ არც საქველმოქმედო საზოგადოებაში და არც ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტში.

ქალაქ ტფილისში ლტოლვილთა გამგე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული

რომან პეტრიაშვილი.

სომხეთში

ერთი მანდატი სომხეთისა და ოსმალეთისათვის

გაზ. „აზატამარტი" იტყობინება: „პარიზიდან მოსული დეპეშის თანახმად სომხეთი და ოსმალეთი გამოცხადდება დამოუკიდებელ ერთეულად და მათ მმართველად დაინიშნება ერთი და იგივე სახელმწიფო.

სომხეთის ჯარი ვანში

კონსტანტინოპოლის გაზ. „შავიხი" იტყობინება, რომ იქ მიღებულ ცნობებით ვანის მიდამოში გამოჩნდა 5.000 კაციდან შემდგარი სომხის ჯარი ტყვის მფრქვეველებითა და ზარბაზნებით შეარაღებული. ეს ალბად სწორედ ის ჯარია რომელსაც დაკისრებული აქვს ინგლისელების დახმარებით ვანი დაიჭიროს.

სომხები რუმინეთში

რუმინეთის ახალი სტატისტიკით სომხების ახალშენი რუმინეთში შესდგება 68.000 სულისაგან, რომელთაგანაც: ბესარაბიაში—18.000, ბუკოვინაში—5.000, ტრანსილვანიაში—17000 და მოლდავია, დობრუჯა და სხვა ოლქებში 18.000 სული.

ბეკზადიანის ჩასვლა

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ტ. ბეკზადიანი სომხეთის მთავრობამ აზერბაიჯანიდან გამოიწვია.

აზერბაიჯანი

პარლამენტის წევრის გაძარცვა

თიბათვის 19-ს, ღამის ორ საათზე ნუხის გზაზე გაძარცვეს აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი აბდულა ბეი ეფენდიევი. წაართვეს ფულად 10.000 მან. და 3300 მ. ნივთები.

საქართველოს მინისტრთა ჩამოსვლა.

შაბათს ბაქოში ჩამოვიდნენ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისა და გზათა მინისტრები.

იარაღის აღმოჩენა

ამ რამოდენიმე დღის წინად ბაქოს პოლიციამ პრიუტისა და ზღვის ქუჩის კუთხეში ივანოვის სახლში აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი. როგორც გადმოგვცემენ აღმოაჩინეს 252 სრულიად ახალი, გაზეთილი ვინტოვკა. 61.200 ტყვია და „კოლტის" სისტემის ტყვიის მფრქვეველი.

ავტომობილების რეგისტრაცია.

ბაქოს პოლიცმეისტერის ბრძანებით მოხდა რეგისტრაცია ბაქოს ავტომობილებისა. უნომრო ავტომობილების პატრონებს უფასოდ ართმევენ.

ბაქოს უსახსრობა

თიბათვის 21-ს ქალაქის თვითმართველობის კრებაზე გამოირკვა, რომ ქალაქს არ მოეპოვება არავითარი საშუალება მოსამსახურეთა თიბათვის ჯამაგირები გადაიხადოს, ამ მიზნით თვითმართველობამ სთხოვა ბაქოს ხაზინას რომ მთავრობის ნებადართულ ანგარიშში, თვითმართველობას გადასცენ 2.500.000 მანეთი.

გაგრის ოლქში

ახლა ხანს ბრძოლის ველიდან ჩამოსული გვიამბობს რომ მოხალისეთა ჯარი ვერ შესძლებს, მთელი თავისი ძალებითაც რომ შემოუტიოს ჩვენი ხაზის გარღვევას მაინც ვერ შესძლებენ. გაგრის კარები მეორე დარიალია და იქ მყოფი ათასეულები სრულიად საკმარისია რომ მოხალისეთა ჯარის პირველი, თუნდაც ძლიერი შემოტევა დაამსხვრიოს სულიერი განწყობილება ჯარში მეტად კარგია. მაგრამ ჯარის კაცნი გაკვირვებულნი არიან იმ უყურადღებობით, რომელსაც ზურგის ქართველობა და მთავრობა იჩენს. იმ დროს, როდესაც იქ მხოლოდ სიტყვა „დენიკინელი" იქაურ ჯარის კაცებს ბრაზსა ჰგვრის, აქ ჩვენს დედაქალაქში ასეთი დენიკინელები მრავლად დაიარებიან და, როგორც იქ ამბავი მიდის რაზმებსაც კი აწყობენ.

სოხუმში 26 მაისის დღესასწაული კარგად ჩაიარა. ზარბაზნის 21-ჯერ გასროლის შემდეგ საქალაქო ბაღის კარებზე მიაკრეს საქართველოს დროშები. გაიმართა ჯარების აღლუმი და სხვა. თითქმის ყოველ დღე მოდის გემებით ჯარი, რაც მცხოვრებლებზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აფხაზები გაკვირვებით აღნიშნავენ, რომ მათ არ ეგონათ თუ საქართველოს ამოდენა ჯარის გამოყვანა შეეძლო. შავი ზღვის სანაპირო გამოცოცხლებულია, როგორც ხმელეთზე ისე ზღვაში. სულ ორიოდე თვის განმავლობაში, რამდენიმე გემი ჩაუშვით ზღვაში, რომელნიც კარგად არიან შეიარაღებულნი.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

თურანში.

უკანასკნელად მოსულ ცნობებით იმიერკასპიის ტერიტორიაში გადასულ საბჭოთა ლაშქარს ჰსარდლობს მაჰმადიანი გენერალი ყაზიმ-ბეი თავისი ლაშქრით, რომელმაც მასთან ერთად აღიარა საბჭოთა ორიენტაცია.

არეულობა ეგვიპტეში.

რევოლუცია ეგვიპტეში იზრდება. ჯარი და მოხელენი გაიფიცნენ, რითაც ინგლისურ მთავრობას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებენ. სარევოლუციო პროპაგანდას ეწევიან ადგილობრივი მოხელენი რომელთა ბანაკად გადაქცეულია ქაირო. მოსახლეობას ხელმძღვანელობას უწევს საბჭოები, რომელნიც დღემუდამ მიტინგებს და საზოგადო ყრილობებს ჰმართავენ. მოძრაობა ბოლშევიკური ლოზუნგებით იზრდება.

ლოიდ ჯორჯის განცხადება.

ათენში მე-38 დივიზიის მიმართ სიტყვაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „გერმანელებმა განაცხადეს, რომ ისინი ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ, ჩვენ უპასუხეთ: თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ თორემ თუ ხელს არ მოაწერთ ვერსალში, მაშინ ბერლინში მოგაწერინებთ. ჩვენ მოვალენი არ ვართ დავთმოთ. მსოფლიოს მომავალი ამ ზავზე ჰკიდია. თუ თქვენთვის აუცილებელი იქნება ბერლინზე წასვლა, თუ თქვენი დათხოვნის ვადა გაგრძელდება, მაშინ მხოლოდ მე ვიქნები პასუხის მგებელი და ეცადეთ რომ იმ ხელშეკრულებას, რომელიც თქვენ დამაწერინეთ ბეჭედი დაასვათ.

დენიკინი და საქართველო.

როსტოვის გაზეთ „პრიაზოვსკი კრაი"-ში დაბეჭდილია მეთაური საქართველოს საკითხზე. მოგვყავს ამ წერილის ერთი ადგილი: „ეკატერინოდარში მოვიდა საქართველოს მთავრობის დელეგაცია დენიკინთან მოსალაპარაკებლად. რისთვის მოსულან და რა სურთ საქართველოს ელჩებს ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ სამხრეთ რუსეთის სარდლობის შეხედულება საქართველოს რესპუბლიკასთან ურთიერთობის თაობაზე უკვე ნათლად სჩანს. განზრახული იყო მოწვეულიყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მთავრობათა და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია. ამ კონფერენციის საქმეთა გამო დაარსებულმა საგანგებო თათბირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვიდრე საქართველო სდგას დამოუკიდებლობის შეურიგებელ პოზიციაზე მოხალისეთა არმია მასთან არავითარ მოლაპარაკებას და ურთიერთობას არ იქონიებს.

საქართველომ უნდა მიიღოს შემდეგი პირობები რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მოხალისეთა არმიისთვის საქართველოსთან ურთიერთობის დაჭერა: 1. საქართველოს სცნობენ დროებით სახელმწიფო ერთეულად, როგორც დონსა და ყუბანს 2. სამხედრო საქმეებში საქართველო ემორჩილება მოხალისეთა ჯარის სარდლობას. 3. საქართველოს საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს სრულიად რუსეთის სახალხო კრება არჩეული საყოველთაო არჩევნების უფლების მიხედვით."

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

23 თიბათვე.

ინგლისური პრესა.

ბელგიის განახლება

ბელგიის მთავრობა და ხალხი ზარალის ანაზღაურებამდე და დახმარების მიღებამდე ენერგიულად შეუდგა განადგურებულ ოლქების აღდგენას. აკეთებენ გზებს, აშენებენ დანგრეულ შენობებს, აშრობენ წყლისაგან დაფარულ ადგილებს და ამუშავებენ მინდვრებს, მიუხედავათ ხელფასის და ცხოვრების გაძვირებისა, გადასახადების გადიდებისა და ამით გამოწვეულ უკმაყოფილებისა, ცხოვრება ნელნელა ჩვეულებრივ კალაპოტში სდგება. მეფე ალბერტი პირადათ ნახულობს მექარხნეებს და მათ აიძულებს, რომ აამუშავონ ქარხნები, რათა 150,000 უმუშევარს საქმე გაუჩნდეს სხვა მთავრობები თუ დახმარებას უცდიან, ბელგია ეხლავე შეუდგა მუშაობას. არ შეიძლებოდა, რომ ამას შთაბეჭდილება არ მოეხდინა პრეზიდენტ ვილსონზე, რომელმაც ზღვის ნაპირის შემდეგ ქალაქებში გაიარა: ბრიუგე, გენტი, ბრიუსელი, ლიეჟი, სპა, ნამიური, დიჟონი მაინი და შარლეროი. ყველგან სულიერი განწყობილება კარგია. ვილსონის ბელგიაში მოსვლა მეფე ალბერტს საშუალებას მისცემს, სისრულეში მოიყვანოს თავისი დიდი ხნის სურვილი ამერიკაში მოგზაურობისა.

ახალი ომისათვის მზადება.

ფრანგი დიპლომატები ირწმუნებიან, რომ საზავო ხელშეკრულებას გერმანელები ხელს მოაწერენ, სამხედრო მოქმედების დასაწყებად ყველა წინასწარი ზომები უკვე მიღებულია. შინაური მდგომარეობას დაკმაყოფილებულად სთვლიან. კლემანსო და ფოში დარწმუნებულნი არიან, რომ ძლიერი ფრონტი შექმნილია. მაღაროს მუშების გაფიცვა დამთავრდა.

მდგომარეობა საფრანგეთში

რუსეთის პოლიტიკის შესახებ შეკითხვის განხილვის დროს პიშონმა გაიმარჯვა. კლემანსომ სრული თავისუფლება მიანიჭა მას ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებაში ფრანგებს აგრეთვე ისიც უკეთებს გულს, რომ საზავო ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რისაც ძალიან ეშინოდათ, რადგან ოთხთა საბჭოს მუშაობა საიდუმლოებით იყო მოცული. ამ ჟამათ, პრეზიდენტი ვილსონი ბელგიაშია, ლოიდ-ჯორჯი—ვერდენში და ორლანდო იტალიაში, კლემანსო სავსებით შინაურ საქმეებით არის დაბანდებული. მრავალმა კომისიამ კი მუშაობა შესწყვიტა და დაისვენა. გერმანიის მთავრობამ შეიგნო, რომ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ძალა-უფლების შერჩენა, თუ მოკავშირეთა პირობებს მიიღებს. გერმანიის ეხლანდელ დელეგაციის წევრებმა უარი განაცხადეს, თავის გვარები მოეწერონ იმ ხელშეკრულების ქვეშ რომელიც გერმანიისთვის სამართლიან სასჯელს მოითხოვს მის მიერ ომის დროს ჩადენილ დანაშაულებისთვის. კაბინეტსაც ეშინია ასეთი პასუხის მგებლობის თავის თავზე მიღებისა.

ავსტრიის დელეგაციის თავმჯდომარის რენნერის პასუხი ვილსონის და ლოიდ-ჯორჯის პარიზში დაბრუნების დროისთვის მზად იქნება. წერილის კილო მოწმობს, რომ ავსტრიელებს იმედი აქვთ დათმობისა.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, ივნისის 22 (დასაწყისი არ არის მიღებული). შავზღვაზე ალექსანდრ-ხერსონ-ნიკოლაევის შუა გემების მიმოსვლა დაიწყო. მცხოვრებნი პოლონელებისადმი ძლიან მტრულად არიან განწყობილი გლეხები. რაც მოხვდებათ იმით იარაღდებიან და პოლონელებს ამარცხებენ. პროვინციიდან მოსული ცნობით, დენიკინთან საბრძოლველად მობილიზაცია კარგათ მიდის. ოდესაში [illegible] გაწვეულებმა მოიყარა თავი. შესდგა და ფრონტზე მიდის [illegible] რაზმები. კრემენჩუგის მაზრაში გლეხებმა რევოლუციისთვის ყველა დამცველთა მობილიზაცია გამოაცხადეს.

ოლონეცი. ივნისის 21. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით [illegible] და [illegible] დაიჭირა.

ნაუენი. ივნისის 21. ერფურტის რკინის გზის მუშათა შორის არეულობა მოხდა. პრუსიის მინისტრმა მოითხოვა, რომ ერფურტიდან გაიყვანონ მთავრობის ჯარი რომელმაც ვეიმარის ერთ პოლკში აჯანყება გამოიწვია. არეულობა ჩააქრეს, მაგრამ მეორე დღეს ვეიმარის რკინის გზის მუშებმა და მოსამსახურეების ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა. ერფურტის საქმეებში მთავრობის ჯარის ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ. რის გამო რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა. ვენაში გაფიცვები დაიწყო.

ლიონი, ივნისის 20. საფრანგეთის ჩრდილოეთის დეპარტამენტის მაღაროს მუშების გაფიცვა დასრულდა მთელ ოლქში მუშაობა განახლდა. უოლშმა და დენნმა ამერიკის საზავო დელეგაციის სახელით ლოიდ-ჯორჯს მიმართეს წერილით, სადაც მოითხოვენ ციხიდან განთავისუფლებულ იქნეს სინფეინერების ლიდერი, ირლანდიის პარლამენტის წევრი ქ-ნი მარკევიჩი.

ლიონი, ივნისის 20. მარკიზ დე ლა ტორეტო პოლონეთში იტალიის ელჩათ დაინიშნა. რომიდან იუწყებიან, რომ მთავრობა გადადგა.

მოსკოვი, ივნისის 22. ყველას სახალხო კომისარიატის სახელით წინადადება მიეცათ ადგილობრივ საბჭოებს რომ სააგენტოს დეპეშები, რომელნიც მათ მოსდით, წესიერათ გაასცენ ყველა, მნიშვნელოვან პუნქტებში, დაბებში, სოფლებში და საქარხნო ცენტრებში, თუ შესაძლებელია ტელეფონითაც. შემდეგი აუწყეთ რადიო ტელეგრაფის განყოფილებას.

მოსკოვი „იზვესტია"-ს დღევანდელ მეთაურში—„მთავრობა მიდის"—აღნიშნავენ, რომ მოკავშირეები სცდილობენ მათ ქვეყნებში გაზრდილი რევოლუციონური მოძრაობა ჩვეულებრივ კალაპოტში ჩააყენონ სოციალ გამცემთა მთავრობის შექმნით. შეთანხმების სახელმწიფოთა ბურჟუაზიული მთავრობები და შეიდემანის მთავრობა ზედიზედ გადადგნენ, რადგან მათ ვერ შეუძლიათ გაჭირვებიდან კაცობრიობის გამოყვანა. ამერიკელი იმპერიალისტები არც კი სცდილობენ ომის გათავებას. ამერიკის რადიო დეპეშები აქეზებენ გერმანელებს არ მოაწერონ ზავზე ხელი. წერილში „მორიგი საკითხი"—ამხ კერჟენცევი აღნიშნავს, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების ინფორმაციის გაერთიანება და მოსკოვში ერთი საინფორმაციო ცენტრის დაარსება. „პრავდას" დღევანდელი მოწინავე წერილი ორლანდოს და შეიდემანის მთავრობათა გადადგომის და ახლო-მომავალში კლემანსოს გადადგომის შესახებ სწერს, რომ მინისტრთა ასეთი სწრაფი და ზედი-ზედ გადადგომა რევოლუციის წინ ხდება ყოველთვის. ასეთ გარემოებაში არ ყოფილა მხოლოდ საბჭოთა მთავრობა რომელსაც დიდი უმრავლესობა უჭერს მხარს და საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მტკიცეა, რის გამოც ის გამარჯვებული დარჩება. წერილში „დახლართული გორგალი", „პრავდა" აღნიშნავს, რომ ერთ მსოფლიო ომმა, რომელიც კლასთა შორის სამოქალაქო ომად გადაიქცა, იმავე დროს შექმნა ბურჟუაზიული ომები. პოლონეთ-ჩეხიის გერმანელ-პოლონეთის, უკრაინა-პოლონეთის, ლატიშელთა ესტონელთა და სხ. წერილი ასე თავდება: „ბატონებო, ვერ მორიგდნენ, ლაქიები წაიჩხუბნენ და ისარგებლებს ფეხზედ ამდგარი პროლეტარიატი".

სამხედრო ფრონტი. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა 5 ვერ. უკან დაიხია. პეტროზავოდსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია, შელტოზერზე გადავიდა და ხელთ იგდო ტყვიის მფრქვეველები და მრავალი ტყვე წამოიყვანა. ლუგის რაიონში სად. პლიუსსთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პსკოვის სადგური ჩერსკიას აღმოსავლეთით ბრძოლაა. სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა და სად. პოდსტავა დაიჭირა.

სამხრეთის ფრონტი. კრიმის მიმართულებით ბრძოლის შემდეგ ფეოდოსია დავსტოვეთ და სად. გრამატიკოვისთან ბრძოლაა. მარიუპოლის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენ პავლოგრადი დავსტოვეთ. ხარკოვის რაიონში ჩრდილოეთ-დონეცის გადასვლის გამო ჩუგუევის და ზმიევის რაიონში ბრძოლაა.

მოსკოვი ჩრდილოეთით ჩვენ ვოლჩანსკი დავსტოვეთ. კუპიანსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ვალუიკი დასტოვა. ბოგუჩარსკი-კალაჩის მიმართულებით ჩვენ კალაჩი დავსტოვეთ. ცარიცინის რაიონში ჩვენმა ჯარმა უმაკინა და სოლოდნიკი დაიჭირა ასტრახანის რაიონში ჩვენი [illegible] სტავკა და [illegible] დავსტოვეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალსკის რაიონში ჩვენ სადგ. [illegible] დავსტოვეთ. ურალსკის ზარბაზნებს უშენენ სტერლიტამაკის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ უფის რაიონში ჩვენი ჯარი ზლატოუსტის რკინის გზის ხაზზე წინ მიიწევს. ვოტკინის რაიონში, უფის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სლოგოდარ-პოდმონასტირის ხაზს მიაღწია. პერმის რაიონში ჩვენი ჯარი ხრუსტალის ფრონტზე გამოვიდა და ჩრდილოეთით ჩვენ კარაჩაისკი დავიჭირეთ.

მოსკოვი. ივნისის 21. წითელმა ჯარმა უცხიანის მხარეში შეტევა დაიწყო. სად. დუკითისთან წითელთა მგზავრებმა 70 ლეგიონერი ამოხოცა და 5 ტყვეთ წამოიყვანა. შემტევთა სულიერი განწყობილება კარგია.

ამერიკის სოციალისტები.

გუშინდელ კრებაზე ამერიკის სოციალისტებმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს წინ აღუდგნენ მათ წრეში ბოლშევიზმის გაჩენას 20 ხმით, წინააღმდეგ 1, უარყვეს წარმოდგენილი 4 წინადადება, რომელთაგან ერთი მოითხოვდა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ეცნოთ.

გარდენის საბუთები.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მაქსიმილიან გარდენს ახალი საბუთი კიდევ მოყავს იმისა, რომ ომის გამოწვევის პასუხისმგებლობა გერმანიას ედება და მის სერბიის საწინააღმდეგო გეგმა წინასწარ ჰქონდა შედგენილი. გაზ. „ცუკუნფტ"-ში გარდენმა დაბეჭდა ის დეპეშა, რომელიც სარაევოში მომხდარ მკვლელობის გამო სამიებლად დანიშნულმა ავსტრიის დიპლომატმა ფონ-ვისნერმა გაუგზავნა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ეს დეპეშა 1914 წ. ივლისის 13-ის თარიღითაა გაგზავნილი და მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში სერბია არაფერ შუაში არაა: ეს საბუთი დამალეს და 10 დღის შემდეგ კი სერბიას ულტიმატუმი წარუდგინეს: თუმცა პოსტდამის სამხედრო საბჭოს ერთი კვირით ადრე უკვე ჰქონდა შედგენილი მოქმედების გეგმა, რომელიც სავსებით ჰგულისხმობდა რუსეთის ჩარევას ამ უთანხმოებაში. შეიძლება გეტმან-ჰოლვეგს დაავიწყდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს 1914 წ. ივლისის 6, გარდენი სწერს: „ვისაც უნდა აერჩია ომი თუ ზავი, მან უკვე არჩია ომი".

ავსტრიის დიპლომატი ლამაში.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს ავსტრიის დიპლომატმა ლამაშმა შემდეგი სთქვა: „მე იმიტომ დავტოვე სენ ჟერმენი, რომ იქ მეტი ვიყავი, არავისთან მე კავშირი არა მქონდა, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით: მოკავშირეებთან ურთიერთობა ავსტრიიდან უფრო ადვილია, ვიდრე სენ ჟერმენში. მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები იქ, თუ სერიოზული მოლაპარაკება დაიწყო. გარეშე პირობები იქ მშვენიერია. ფრანგი ოფიცრები ნამეტნავად ყურადღებით გვეპყრობიან მაგრამ, ვაი, რომ ნამეტანი ვაჟიერებული ხანია, რომ დამშეულ ქვეყნის წარმომადგენლები კომფორტით და უსაქმურობით სტკბებოდეს. მე აღარ მესმის ვილსონის პოლიტიკა. შეირყა ჩვენი წინანდელი რწმენა, რომ ის ხელმძღვანელობს საქმეებს. ჩემი წინანდელი მოწინააღმდეგენი მილიტარისტები ეხლა დამცინიან ისე, როგორც 1918 წელს ავსტრიის ზედა პალატაში. მე მესმის, რომ ისინი მართალნი არ არიან. ჩემი ოპტიმიზმი არ შერყეულა, რადგან ვიცი, რომ ვილსონი ყველაზედ მნიშვნელოვანი ძალაა", რომელიც კაცობრიობის საკეთილდღეოთ მოქმედობს. მე რაღა მეთქმის? პარიზში შავი ძალები დიდ როლს თამაშობენ, იდეალისტები კი იძულებულნი არიან გაჩუმდნენ. მილიტარიზმის არსებობა თითქოს საჭირო გამოდგა და მილიტარული ძალა ისევ გაჩნდა. ერთმანეთის შეგნება კი გაქრა. მუდმივ შეთანხმების მიღწევას კი არც კი სცდილობენ.

მიუხედავათ ამისა მე მუხლს ვიდრეკ ვილსონის წინაშე და არ შემიძლიან შევიცვალო აზრი მის შესახებ: ის რომ განდევნონ სარბიელიდან, მაშინ მართლაც ბნელი ძალები გაძლიერდება ჩემის აზრით ცენტრალურ და აღმოსავლეთის ევროპის ბედი უკვე გადაწყვეტილია. თუ მოკავშირეებს სურთ აიძულონ ავსტრია, რომ გერმანიას არ შეუერთდეს, ამისათვის საჭიროა სხვა პირობები და უნდა გამოძებნონ ახალი საშუალება საქმის დასაგვარებლად.

ახალ-გაზრდათა კონფერენცია.

მეორე დღის კრების ოქმი.

კრებას თავმჯდომარეობს ამხ. ხერხეულიძე, მდივნობს ამხ. ლოლაპერიძე, მდივანი კითხულობს წინა დღის ოქმს, რომელსაც რამოდენიმე არსებითი და რედაქციულ შესწორებათა შემდეგ კრება ამტკიცებს.

სამანდატო კომისიის წინადადებით, ყველა დელეგატებს კრება კანონიერად სცნობს.

მომენტისა და ტაქტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იასონ ჯავახიშვილი. (დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის ახლო ნომერში).

მოხსენების შემდეგ იმართება ხან-

გძლივი კამათი, რომლის შემდეგ კონფერენცია ადგენს:

დღეს ერის ყოველი სასიცოცხლო ძალა მიმართული უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის და განმტკიცებისთვის; ამისთვის საჭიროა:

1. თვით ერის ძალების ორგანიზაცია, განსაკუთრებით ჯარის გაძლიერება, შინაურ წესწყობილების ნორმალურად მოწესრიგება.

2 მუშაობა ადგილობრივ და საზღვარ-გარეთ, რათა საქართველო ცნობილი იყოს სუვერენულ სახელმწიფოდ მის ისტორიულ საზღვრებში.

3) საჭიროა, რომ ძირშივე აღკვეთილი იყოს აქ მყოფ მესამე ძალის ყოველივე ცდა ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევისა, და ყოველი ძალღონით ჩვენ მოკავშირეზე აზერბაიჯანთან ერთად წინააღმუდგეთ გარეშე მტრის შემოსევას. მიიღო რა ეს მხედველობაში, კონფერენცია სურვილს გამოსთქვამს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის სიტყვასაც ჯერ არა აქვს ერის პოლიტიკის წარმოებაში ჯეროვანი გასავალი, დაეხმაროს მთავრობას აღმშენებლობითი მუშაობაში, ხოლო სასტიკად გაილაშქროს მის მცდარ ნაბიჯების წინააღმდეგ, ყოველ საკითხს შეეხება იგი, საქართველოს საგარეო, თუ საშინაო მდგომარეობას, პარტია უნდა მიუდგეს იმ მხრივ, თუ რამდენად მისაღებია იგი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, ჩვენი მსოფლ-მხედველობა მოითხოვს, რომ პარტიის პოზიცია ყოველთვის, მაშინაც როცა ამა თუ იმ შემთხვევაში იგი ოპოზიციაში იყოს პასუხისმგებელი, სახელმწიფოებრივ საზღვრებში.

ამ სხდომის დასასრულ თავმჯდომარე კითხულობს მის მიერვე წარმოდგენილი დამფუძნებელ კრების მისადმების დეპეშის ტექსტს, რომელსაც კრება ერთხმად ამტკიცებს (დეპეშა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა).

კრება სწყდება ღამის 12 საათზე მეორე დღის დილის 10 საათამდე.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ვინც დაჰკვირვებია ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებათა წყობილებას და მის პერსონალურ შემადგენლობას ის ნათლად შეამჩნევდა იმ უპირატესობას, რომლითაც ჯერ კიდევ სარგებლობენ უცხო ტომნი, სახელმწიფო ენის არა მცოდნენი, რაც მოწმობს ამ დაწესებულებათა მეთაურების სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უქონლობას. მიუხედავად ოფიციალურ დადგენილებისა, სახელმწიფო დაწესებულებათა გაეროვნებისა. ეს საკითხი ჩვენში ჯერჯერობით სადაოა, რაც ხელს უწყობს ქართველ მოქალაქეთა უმუშევართა გამრავლებას. ყველგან და ყოველთვის სახელმწიფონი სცდილობენ თავიანთ მოქალაქეთ აღმოუჩინონ შესაფერისი სამუშაო და ამით აიცდინონ ეკონომიურ-მორალური საფრთხე, რაც შედეგია უმუშევართა გამრავლებისა. ჩვენს სახელმწიფოში კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობს, ისევ რუს სომეხ მოხელეები ბატონობენ დაწესებულებებში, მათვის სახელმწიფო ენის ცოდნა საჭირო არ არის, რუსულადაც იოლად მიდიან. სამსახურში ჩარიცხვის დროს მათ უპირატესობასაც აძლევენ, ვითომდა უფრო გამოცდილ მოხელეებს, მაგრამ ეს არარის მართალი, ჩვენში ბევრნი არიან ჩამოსულნი გამოცდილი მოხელეები, ისეც არ იყოს განა სახელმწიფოს მოვალეობა არარის გამოუცდელს, მოხელეობის გამოცდილობა მისცეს, თუ გამოუცდელს არ მიიღებთ, გამოცდილნი საიდან გვეყოლება გამოცდილ მოხელედ არვინ დაბადებულა. მართლაც, რომელი სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქართველმა მოქალაქემ სამშობლოს დასაცავად ჯარში გავიდეს საბრძოლველად, ხარკი იხადოს სახელმწიფოს შესანახად, ყოველივე მოქალაქობრივი მოვალეობა შეასრულოს და ამავე დროს უმუშევარი იაროს. ჩვენი ხალხის ფულით რუს-სომეხ მოხელეების ოჯახებს არჩენენ ამ შიმშილობის ხანაში, რომელნიც ჩვენი დაუძინებელი მტრები არიან, მით უმეტეს დღეს, როდესაც ორივე მხრიდან საფრთხე მოგველის. ამ ბოლო დროს ხშირად სწერენ მეომართა ოჯახების დახმარებაზე და ქართველ ლტოლვილებზე. ამბობენ სახელმწიფოს უფულობის გამო არ შეუძლიან დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებანიო. მათ დასახმარებლად ადგენენ კერძო საზოგადოებებს, რომელთა ფულის შემოსავლის წყარო—სამარცხვინო ყულაბებია. ყულაბებით ფულის მოგროვება—მათხოვრობაა ხალხი მას სამართლიანად გაურბის. ნუ თუ სხვა საშუალების გამოძებნა არ შეუძლიანთ ჩვენს სახელმწიფოს მესვეურებს მათ დასახმარებლად. ვიტყვით, შეუძლიათ და არის საშუალებაც ქალაქებში მცხოვრებ მეომართა და ლტოლვილთა ოჯახების წევრი, მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს მათ შესაფერისი სამსახური და დააკისროს თავისი ოჯახის რჩენა და არა ისე როგორც ეხლა ექცევიან ომიდან დაბრუნებულებს, ზოგს უადგილოდ სტოვებენ, ზოგს არ იღებენ სხვა და სხვა მოსაზრებით და მით გულგატეხილნი შემდეგში „დეზერტირობენ“. მეტყვიან თავისუფალი ალაგები არ არის მათი მისაღებადო. მე ვიტყვი: არის. მაგალითად, დღეს ყველა დაწესებულებებში მეკარეები და მსრბოლელნი განსაკუთრებით რუსები არიან, მათ სახელმწიფო ენა არ იციან და დიდ გაუგებრობას იწვევს სოფლიდან ჩამოსულ გლეხებში, აი სწორედ ამ ადგილებში უნდა ჩავაყენოთ ჩვენი ლტოლვილები და მით მიეცემა მათ საშუალება თავის ოჯახის რჩენისა, სახელმწიფო კი დააღწევს დავალიანებას და უმუშევართა საშიშროებას, თორემ რუსების ლოიალობა ჩვენ ვერას გვარგებს, მათ დენიკინი და სხვებიც წყალობენ, უბედურ ქართველ ლტოლვილებს ყველგან სდევნიან და ჩვენც დედინაცვლობას უწევთ მათ. ერთი სიტყვით ჩვენი მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა ვისაც პატიოსანი მუშაობა სურს, აღმოუჩინოს შესაფერისი სამუშაო, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანიზმს შინაგან გამაგრებას ყოველი მოქალაქე იმდენად იცავს და პატივსაცემს თავის სახელმწიფოს, რამდენადაც ის მასში მჭიდრო დაკავშირებულია ეკონომიურად. ამიტომ სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული თავის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკარგება ყოველივე ღირსება.

მოხელე.

მკითხველთან საუბარი

(ჰიგიენური მუსაიფი).

სწავლა განათლების უპირველესი მიზანი უნდა იყვეს შექმნა ზოგადი შეხედულობისა, საზოგადო მსოფლმხედველობისა. ამას რომ შევძლებდეთ ეს იქმნებოდა სწავლა-განათლების ნამდვილი დემოკრატიზაცია და ეს უფრო ნამდვილი, უეჭველი გზა იქმნებოდა სოციალიზმისაკენაც მაგრამ სოციალიზმი თუ გვპირდება ჩვენ მიწაწყლის კანონიერ განაწილებას, კანონიერ განაწილებას საზოგადოდ ყოველ-გვარი სიმდიდრისას, სამაგიეროდ გონებრივი სიმდიდრის განაწილებაში იგი ყოველთვის უძლური აღმოჩნდება. თუ ჩვენ ადვილად გავხდით ყველას თანასწორებად ქონებრივი მხრით, სამაგიეროდ ადამიანების გათანასწორება გონების მხრით ჩვენ ხელთ არ არის აქ ძლიერ დიდს წინააღმდეგობას გაგვიწევს ჩვენ თავისებური მიმდინარეობა მემკვიდრეობითი კანონისა, რომელიც ზოგისათვის მეტად უხვი და კეთილია, ზოგისათვის მეტად უგულო და ძუნწია, მემკვიდრეობა, როგორც ბიოლოგიური ფაქტორი, ეყრდნობა მექანიკის კანონებს, მაგ. მრავალ სხვა და სხვა გვარათ მიმართულ ძალებისაგან შესდგება მხოლოდ ერთი ძალა სწორ მოქმედათ წოდებული, მაგრამ ეს სწორმომქმედი ძალა ბიოლოგიაში ხშირად ძლიერ თავისებურად და არა სასურველად გადიხრება ხოლმე და კიდეც ამისათვის ჩვენ უფრო მეტგრად და საკეთილდღეოთ უნდა დავიხმაროთ აღზრდა და სწავლა განათლება, რათა ათასნაირ სხვა და სხვა გვარ ძალებს უფრო სასურველი მიმართულება მივცეთ კიდეც. ამის გამო ჩვენ მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ჩვენი არსებობის პირობებს, ჩვენი სულიერი ცხოვრებას ბევრი რამ ისეთია, რომ ძლიერ მტკიცე არის შეკავშირებული ჩვენ ცხოვრებასთან და ეს ჩვენ, განურჩევლად წლოვანებისა, ძლიერ კარგათ უნდა ვიცოდეთ. ამ გვარ მოვლენას გადამდები სენი შეადგენს. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ გადამდები სენი შეადგენს შინაარსს თითქმის მთელი ექიმობისას და ამისთვის თუ ჩვენ გვეცოდინება ყოველი გადამდები სენი, გვეცოდინება მედიცინის ფილოსოფიაც. მე მინდა, მკითხველო, გაგაცნო გადამდები სენის გავრცელების საქმე, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაგაცნობ ზოგად მოსაზრებებთან. ყოველ გვარ სენთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის კონსტიტუციას, მისი სწორ-სწონაობის მდგომარეობას. კარგათ ჩამოყალიბებული ადამიანი, რომელმაც წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიიღო კარგი ფიზიკური და სულიერი თვისებები, ამავე დროს კარგათ იკვებება, კარგი ჰიგიენური პირობებში იმყოფება, უფრო კარგად ებრძვის ავათმყოფობას, ვიდრე ის, ვინც ცუდი ჰიგიენური პირობებშია, ცუდათ იკვებება და ან ფიზიკურათ უძლურია. დიდი მნიშვნელობა აქვს ნერვების მდგომარეობასაც ნერვებ აშლილი ადამიანი, თან ძლიერ დაქანცული უფრო ადვილათ ხდება ავათ სენით ვიდრე ნერვებით მაგარი. აქაც ისე, როგორც საზოგადოთ ბუნებაში, ხორციელდება რომლების თქმულობა: **lous mitoris resistentiae**. თქვენ, ვთქვათ ასე, ოდესმე გვერდი იტკინეთ ან და თეძო, წივი იტკინეთ ან მოიტეხეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ ჩავარდით მდინარეში, ან და წვიმამ საგრძნობლათ დაგასველათ ამგვარათ თქვენ ცუდ პირობებში ჩავარდით, რამაც თქვენი აგებულება სწორ წონაობის პირობებისაგან გამოიყვანა, როდესაც თქვენი აგებულების ცუდი მხარეს **clous minoris resistentiae** ასე ადვილათ შელახული ხდება ამნაირათ ადვილად ხდებით თქვენ ავათ ფილტვების ან აპკის ანთებით. გჩინდებათ თქვენ რევმატიული.

ტკივილები თეძოში, ანდა გჩინდებათ მუხლის სახსრის ანთება, რაც ხშირად ცუდს მიმდინარეობას იღებს. ემოცია, ძლიერი შიში, ძლიერი დარდი ხშირად იწვევს რომელიმე ავათმყოფობას, რომელიც ადამიანში არსებობდა წინად, მაგრამ ძალა ვერ იჩინა, სანამ აგებულების სწორ-წონაობა არ დაირღვა. სწორ-წონაობის დარღვევას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გადამდებ სენთან ბრძოლის საქმეში. ადვილათ ხდება სენით ავათ, ადვილათ იტანს, ან სრულებით ვერ იტანს ის, ვისაც აქვს რამე ნაკლულევანება ნერვების, გულის, ფილტვების ან სხვა ორგანის ნაწილების მხრით.

გარდა ამისა ჩვენდა საბედნიეროთ ბევრს ჩვენთაგანს აქვს გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად ეგრედ წოდებული იმმუნიტეტი, რომელიც კეთილ შეძენილია, ან თანდაყოლილი, რაც ადამიანს დიდი ხნით მაინც უზრუნველყოფს ამა თუ იმ გადამდებ სენის დამართვისაგან. მე პირადად მაქვს თანდაყოლილი იმმუნიტეტი ყვავილის წინააღმდეგ, რადგან ყვავილებიანთან მიცხოვრია, წოლილვარ ყვავილიანთან, მაქვს დღესაც საქმე ავათმყოფებთან მაგრამ არ დამართნია. მრავალი გადატანილი სენი სტოვებს ჩვენში ეგრედ წოდებულს შეძენილს იმმუნიტეტს ცოტა ხნით ან და დიდი ხნით. ავათმყოფობის გამჩენი აგენტები ან ტოქსინები სისხლის ნაწილების წყალობით (თეთრი ბურთები, პლაზმა) იმუშავებენ ანტიტოქსინებს, რომელნიც ადვილათ არ ისპობიან, ადვილათ არ ირეცხებიან სისხლისაგან: ამ ფრიად საინტერესო ბიოლოგიურ პროცესში იხატება ის მკურნავი ბუნების ძალა—**vis medicatrix natural** რაზედაც ასე ხშირად უყვარდა ლაპარაკი დიდებულს ჰიპოკრატს, რომელმაც რამოდენიმე ათასი წლით ადრე წინდაწინ იხილა დღევანდელი ჩვენი სწავლა შრატზე. სისხლი რომ არ იცვლებოდეს ასე სასურველად ანტიტოქსინების წყალობით ერთი ცოცხალი არსებაც ვერ გადურჩებოდა ავათმყოფობის გამჩენ სენს. აქ იგივე ხდება, რასაც მორიელში ვხედავთ ჩვენ. მორიელის გესლი, რომელიც ასე ადვილად ასალმებს წუთი სოფელს დიდ ცხოველებსაც კი, ადვილად მოკლავდა პატარა მორიელსაც, რომ მისი აგებულობაში არ დამუშავებულიყო მოწინააღმდეგე გესლი ანუ ანტიტოქსინი, რითაც, როგორც თქვენც კარგათ იცით, ვსარგებლობთ ჩვენ მორიელის და ფალანგის ნაკბენის წინააღმდეგ. მორიელს ვინახავთ ჩვენ ზეითუნის ზეთში და ამით დავზელავთ ხოლმე მორიელისაგან ნაკბენ ადგილს. ამავე დროს იგივე გარემოება გვეუბნება ჩვენ, რომ თუ ბუნებაში არის რომელიმე გესლი, მასშივე მოიპოვება საწინააღმდეგო გესლიც. ამ გვარად ზოგი გადამდები სენის ანტიტოქსინები დიდხანს რჩებიან სისხლში და დიდი ხნით გვიცავენ ჩვენ სენის მეორეთ დამართვისაგან. ეს მოვლენა საკმარისად მომაგონებს ერთ მოვლენას, რომლის მოწმე ვიყავი 1891 წ. ფრანცუზებმა მოსკოვში მოაწყვეს გამოფენა. ამ გამოფენაზე ფრანცუზებმა გამოიტანეს ყველაფერი, რაც კი მისცა მათ მრავალ საუკუნის კულტურამ. უნდა აღვნიშნო რომ ამ გამოფენაზე ფრანცუზებმა საკმარისად იზარალეს, სამაგიეროთ პროგრესიული რუსული გაზეთები ანუგეშებდენ საფრანგეთს, რომ ეს მსხვერპლი ჩადენილია განათლებული საფრანგეთისაგან უკულტურო რუსეთისათვისაო. ამ გამოფენაზე ერთმა ჩემმა ნაცნობმა იყიდა სურნელოვანი სითხე. ეს სითხე ისე ხელოვნურად იყო მომზადებული, რომ რვა წლის შემდეგ როდესაც შუშა უკვე დაცალიერდა, საკმარისი იყო შუშაში ჩაგესხათ წყალი და მერმე რამოდენიმე წვეთი ჩაგესხათ წყლით სავსე გრაფინში, წყალი გრაფინში მეტად სურნელოვანი ხდებოდა. სწორედ ასე ხდება ადამიანის სისხლში ზოგი გადამდები სენის გადატანის შემდეგ. ავადმყოფობის დროს გაჩენილი ანტიტოქსინიანი შრატი დაზღვეულად ჰბდის ადამიანს იმავე სენისაგან, მაგრამ შრატი ბოლოს და ბოლოს ჰკარგავს თავის ძალას. ამის გამო დიდი ხნის შემდეგ შესაძლოა მეორედ გახდომა ავად წინწკლიანი სახადისაგან, ყელტკივილისა და ყვავილისაგან. ზოგი გადამდები სენი გამონაკლისს შეადგენს. წითელი ქარი, ფილტვის ანთება, მალარია, ინფლუენცა არ იჩენენ იმმუნიტეტს, პირიქით ჰგებულებში მზადდება ნიადაგი ავადმყოფობის გაჩენისა. ამ მოსაზრებების შემდეგ საჭიროდ ვთვლი წარმოუდგინო მკითხველს შედმიწევნითი სქემა მისთვის რომ უფრო ადვილად გავიგოთ გადამდები სენის ბუნება და გზა მისი გავრცელებისა. ეს საჭიროა, რადგან უფრო ადვილად შევძლებთ სენთან ბრძოლას, რადგან უფრო ადვილად მოვსპობთ პირობებს სენის გაჩენისას და გამრავლებისას.

ექიმი ე. ვაშაკიძე.

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში საზოგადოების საყურადღებოდ შემდეგი ჩემი მიმართვა მოქალაქეთადმი:

ეს ერთი ხანია ფოსტის დაწესებულებანი იძულებულ იყვნენ დაეგვიანებინათ ფულის ბარათების განაღდება კასაში სამთო ფულის უქონლობისა და ხაზინიდან საფულისარათო თანხის გასაღდელებლად ფულის დროზე მიუღებლობის გამო.

ამ გარემოებამ ბუნებრივად ნდობა დაუკარგა ფოსტის დაწესებულებათ საზოგადოების თვალში და იძულებულ ჰყო მოქალაქენი ფულის გასაგზავნად აუცილებელ შემთხვევაში მიემართნათ მითვის სახიდათო ზომებისთვის, ან თან მიჰქონდათ ფული დაბან გზაში ხშირად ძარცვავდნენ ხოლმე შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან შემთხვევაში სრულებით უარ ეყოთ ფულის ერთი ალაგიდან მეორეში გაგზავნა.

ამ მოვლენამ რასაკვირველია დიდ გასაჭირში ჩააგდო მოქალაქენი, ძალზე შეაფერხა ჩვენში ეკონომიურ-ვაჭრობის საქმე და შეუძლებელი გახადა ერთი ქალაქიდან მეორეში რაიმე დახმარების გაგზავნა. დღეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ დიდი ცდის შემდეგ აიშორა ყოველივე ზემოდ დასახელებული მიზეზები და მოაწყო საქმე ისე, რომ ამიერიდან ყოველივე ფულის ბარათი გარდა ისეთებისა, რომელნიც მიღებულ არ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ამ გამოგზავნილი იქნებიან უცხოეთიდან და ამ უკანასკნელთან კი არ გვექნება დადებული კონვენციები, განაღდებულ იქნებიან დაუყოვნებლივ და დაუბრკოლებლივ ნაღდი ფულის მიცემით და არა შემნახველ კასაში გადარიცხვით, ან ასსიგნობების ხაზინის სახელზე ამოწერით ვაცხადებ რა ამას საყოველთაოდ, ვსთხოვ მოქალაქეთ ამიერიდან უშიშრად გაგზავნონ ფოსტით ფულის ბარათები იმ მტკიცე იმედით, რომ მათგან გაგზავნილი ფული და აგრეთვე ძით სახელზე აზერბაიჟანიდან გამოგზავნილიც მიცემულ იქნება დანიშნულებისამებრ. დაუყოვნებლად და დაუბრკოლებლად მისაცემ ფულის რაოდენობის მიუხედავად.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

— ნუ ინებებ, 51. მეფე—ბატონ! მე ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი, შენ დიდებული მფლობელი საქართველოსი; მე საბრალო მხევალთაგანი, შენ ერთა მბრძანებელი მეფეთა მეფე. როგორ შეიძლება თუნდ ერთ წამს წარმოვიდგინო, რომ შევსძლო ან გავბედო შენის გულის დაკმაყოფილება, შენის ფიქრების ჩემდა მოქცევა, შენის ფოლადივით ნაჭედ-ნაკვერი ნებების ჩემს გარშემო მოხვევ-მოსალტვა?! არა, ბატონო! არა, დიდებულო პატრონო ჩემო! არ ეგების. .

— გენაცვალე! შენი ჭირიმე!

— არა! ვერ შესძლებენ საწყალი თვალები პირისპირ უმზირონ შენს სხივოსან ბრწყინვალებას: ამოიწვიან ბეჩავნი, ამოიბუგებიან! სთქვა ქალმა.

და ალიონი აუთამაშდა სპეტაკ ლოყებზედ, მორცხვ ნეტარებით აშუქებული წითელი განთიადი. ვაჟკაცმა ხარბად შიაშურა მბდღვინავნი თვალნი ქალის ლაწვებზედ გარდაფურჩქვნილ მაისის ფარდებს და ველარ შესძლო თავის შემაგრება, მძლავრად მიიზიდა შეშკრთალი ქალი, ზე აიტაცა, გარდაჰკოცნა ჩაიკრა მკერდში.

— გიყვარვარ, სიცოცხლე? არ მიწყრები, საყვარელო? საუკუნოდ ჩემი იქმნები სულისა სწორო? შენი ფაქიზი არსებით უსალბუნე ჩემს ტანჯულ გულს, უხილავად ლახვრულ ჩემ გულს, რომელს ჯერეთ სიამის ყვავილი არ მოუსთვლია. ხმა გამეც, მშვენიერო!

ქალი ჯერ შეაკრთო მეფის ალერსმა, შეაშინა, კიდეც შეაძრწუნა. მერმე ტკბილი რამ სითბო ჩაეშვა დარდისაგან გვემულ მის გულში და საალერსოდ გაალხო გაციებული. ვერ გაბედა მხურვალე კოცნაზედ კოცნითვე ეპასუხნა. მხოლოდ თრთოდა მძლავრ მკლავებში ბუმბერაზისა, როგორც კაკაბი ორბის ჭვანგებში. და იგი თრთოლვა თუ ცხოვრება საამო რამ ძრწოლვით წარმოშობილი აზვირთებდა ქალის გულში სიტკბოთა ტალღებს, რომელნი ვთვისის ძლიერებით და სიდიადით შიშის ზარსა სცემდნენ მას

— მეშინის, მეფე ჩემო და მბრძანებელო! უცნაურად მაშინებს ალერსი შენისა გამიგონია: ღმერთი განხორციელებულა და სტრფობია მშვენიერს, გარნა მის შეხებას დაუწვავს ქალი, როგორც ცეცხლს ზეციურს, ელვას ღრუბელთა შორის გამომკრთალს.

— ნუ კრთი, გენაცვალე, ნუ გეშინის! ვერ დაგწვავს შენ ცეცხლმან ციურმა, ვერც ქვეყნიურმა; ვერ ავნოს შენს მშვენებას ბოროტმა აღტყინებულმა; ვერ გეახლოს ავი ვეროდეს.

— მეშინის, დიდებულო ჩემო სულთ დგმავ!

— გენაცვალე!

— მეშინის! მომიშორე!

ვერა!

ვაჰ!..

— გეტყვის მეფე და მისი ფიცხლედ გერტყმის გარდაუვალად: შენი მიჯნური აშოტი ბურჯად უდგა საქართველოს, ხოლო ქართველთა შუაგულ იგი სდარაჯობს შუქურ ვარსკვლავსა, სად სამუდამოდ დაენერგა გული მისი!.. ამ შუქურ ვარსკვლავს!.. აი ამ ვარსკვლავს!..

კოცნის ალში ხვეული, ვნებათა ნაკვესით გარემოცული, თითონაც აიგზნო ქალი, აგიზგიზდა, გავარვარდა ცეცხლით მხიურის სიყვარულისა; ყელს მოეჭდო. თქმა ღა შესძლო ფიქრ მიბნეულმა:

— აჰა მხევალი შენი! მეყავნ მე ნებისაებრ შენისა..

ამის შემდეგ სავარდე გაუშენდა აშოტს იქვე ახლო, თავის სასახლის გვერდზედ, წალკოტი რამ მშვენიერი, სად ფერად ყვავილებად იფურჩქნებოდნენ მისთვი ნაზნი გრძნობანი, სრულდებოდნენ სანატრი გულისთქმანი. აქ უსტვენდა მისთვის ბულბული სიამისა, აქ უგალობდა მას იადონი სიხარულისა, აქ ელვარებდნენ მისთვის ხორცსხმულნი ოცნებანი, მრავლდებოდნენ ის დაუვიწყარი განცდანი, რომელნი მხოლოდ ამქვეყნის აშვენებენ ადამიანთა სიცოცხლეს, რომელთ მოგონება ღიმილად ეფინება ცხოვრების გზასა თვით სამარემდინ. აქ, შუქურის ბინაზედ, სულიერად ისვენებდა მოჭირნახული ბუმბერაზი საზოგადო საქმეთაგან დატვირთულ-შემძიმებული.

აქ უყუჩდებოდა მას ყოველი სახეტკვილი გულისა, განუქარდებოდა ტანჯვა სულიერი. აქვე ივსებოდა და პირთავდებოდა საწყაულით მისის ხორციელის ფუფუნებისა. ეს პატარა ბინა იტევდა დიდი მეფის და განთქმული ვაჟკაცის კმაყოფილებათა სიმრავლეს ათას გვარს.

მეფის გონებაში მთელი მისი მოქმედი ცხოვრება ორად გაიპო: ერთი იყო შრომა სახელმწიფოს კეთილდღეობაზედ, ზრუნვა მუდმივი, მრავალგვარი, დაუცხრომელი, რომელი ითხოვდა მის სრულ უნარს, მთელ ძალას გონებისას თუ გამჭრიახობას, და მოითხოვდა მარად, ყოველ წამს. ეხლა ამ ფრიად საზრუნველმა საგანმა მიიღო სახე წმიდა მოვალეობისა, ხასიათი რამ თანამდებობისა, რომელსაც არ ელალატებოდა, ვერ შეიძლებდა რამე დაჰკლებოდა მის წაღმართ მსვლელობაში. საქვეყნო საქმე ერთფერ იდგა და ეჭირა მოქმედი გმირის თითქმის მთელი პიროვნება. გარნა ეს უფრო გონებისა და ნებისყოფის ფარგალში ტრიალებდა, გულის სირმეს კი ძლივსა სწვდებოდა, ვერც თუ მთლად რწყავდა.

მაგრამ ბუმბერაზის პიროვნება ამით არ ისამზღვრებოდა: მრავლობდნენ მის სულში ნაზი გრძნობები პირად მოთხოვნილებათა და ის წალკოტი, რომელში აღივსებულიყვნენ ეს ყვავილნი გაზაფხულისა, გადაფარგლული იყო ყველა სხვა საზრუნველისაგან, მათგან შეუხებელი, მათის მტუქსავ მძლავრობისაგან დაცულ-დაფარული. ამ საიდუმლო სავარდეში მისის სულისა უშრეტი წყარო დიოდა დამტკბარ განცდათა. დიდ სახელმწიფო დაწყებათა ბრწყინვალედ შესრულებაში ისა ჰპოვებდა მხოლოდ ჰაზრთა განხორციელებისაგან ნაწვევ სიამეს, მისწრაფებათა ეშხიან განსახებით დაკმაყოფილებულ თავმოყვარებას. ამ ნიადაგზედ არ იშლებოდა მისთვის ნაზი ყვავილი იმ პირადი სიამისა, რომელი მხოლოდ არსისათვის, საზოგადო თვისებათაგან გამრცვილი. პატარაა იგი ყვავილი, უჩინარი, როგორც პატარაა და უჩინარი ერთი ერთეულის ცხოვრება სიცოცხლით სავსე მთელ ბუნებასთან შედარებით, მაგრამ ისევე ტკბილია და შეუდარებელი, როგორც დაუფასებელია სიცოცხლე თვით პიროვნობისათვის, სხვისათვის თუნდაც უჩინარ ჰეა რამ არსებისათვის. და იმ პაწაწინა ეზო-ყურეში, რომელი განათებული იყო შუქურის არსებით გარდაფურჩქნილიყო მეთქი აზოტისათვის ყვავილი პირადი სიხარულისა, კერძო სიტკბოებისა, დიდ ზრუნვათაგან შემძამებულ მისის სულის მაყურებელი ია რამ შეუფასებელი.

საკვირველია! ოღონდ შუქურის კალთაში ჩავსდვა თავი, მისი ხელი ვიგრძნო შეჭმუხვნილ შუბლზედ და ყოველივე დარდი თუ ზრუნვა განქარდება, გულის ტკივილი მყისვე ჰკარგავს თავის სიმწარეს; ვიძირები შემოუწერელ რამ ტბაში ვარდის ფერის სიამისა, ვნეტარობ ვით ღმერთი ყოვლადნეტარი, წყნარის კმაყოფილებით გარემოცული, უღლევლ კეთილში ჩანერგილ-ჩანთქმული, მათრობელი ნათელის თანაზიარი. . ახ, მოკლენი არიან შეუდარებელი იგი წუთები: საკვირველის სისწრაფით რბის დრო ჩემის შუქურის უბეში...

— ხომ მეფე ვარ თქვენი, ხელმწიფე მბრძანებელი?

— ოღონდაც რომ ხარ!

— მაინც არ გიბრძანებთ! მორჩილად გთხოვთ, განმიგრძოთ ეს სანატრელი წამები, გემუდარებით, განმიმრავლოთ იგი წუთები უთქმელი ნეტარებისა, თქვენდავე საკეთილდღეოდ ამრავალკეცოთ იგინი!

— როგორ, ბატონო?!

— იქ ვივსებთ კეთილ მისწრაფებათა სიმრავლით! იქ ვიმოსები ღვთაების ძალით სახიერისა! მისმინეთ: მომაგეთ მცირედი ესე მოსაგებელი და სიკვდილამდე მიმსახურეთ მბრძანებელი თქვენი. თუ არა და...

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნ ვერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, განსინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სალინიიდი და სხივების ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1

7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

მიქელაძე

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისის ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილიდან 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.